საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 18 იანვარი. 2017 წ. №12 (8149), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ის მაინც ურცხვად იტყვის: „ვერ მოგვართვეს!“

სააკაშვილი იარაღით ვაჭრობასა და ჟურნალისტების მოსყიდვაში ამხილეს

3



ნატოში მისალებად წარმატებულად განხორციელდა რეფორმები... რას გადაწყვეტენ ნატოელები?

გუშინ, ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ვიქტორ დოლიძის, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით დონდუასა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მარიამ რაქვიაშვილის მონაწილეობით ნატოს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების დონეზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა (NGC) გაიმართა, სადაც 2016 წლის, რიგით მერვე წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შესრულებაზე იმსჯელეს.

ვიქტორ დოლიძემ 2016 წელს გატარებულ რეგორმებსა და მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. ყურადღება გამახვილდა საპარლამენტო არჩევნებზე, სასამართლო სისტემაში გატარებულ ცვლილებებსა და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე. განსაკუთრებით აღინიშნა ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის წარმატებული იმპლემენტაცია.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ მოკავშირე ელჩებს შავ ზღვაზე არსებული უსაფრთხოების გარემოს შესახებ ქართული მხარის ხედვა გააცნო. აღნიშნა, რომ შავ ზღვაზე ნატოს უფრო აქტიური ჩართულობა ხელს შეუწყობს როგორც მთლიანად რეგიონის, ასევე, საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებას.

თავის მხრივ, ნატოს წევრმა ქვეყნებმა ხაზი გაუსვეს შავი ზღვის უსაფრთხოებაზე საქართველოსთან მიმდინარე დიალოგის მნიშვნელობას და გამოთქვეს მზაობა აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

ამასთან, მოკავშირეებმა აღნიშნეს საქართველოს მიერ დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებები, რაც ხელს უწყობს ქვეყანას ნატო-ში გაწევრებას მიზნის მიღწევაში. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს საკუთარი ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართ. ალიანსის წევრებმა გამოხატეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერა და მადლობა გადაუხადეს საქართველოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის — ნატოს მისიებსა და ოპერაციებში აქტიური ჩართულობისთვის.

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომამდე სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ ორმხრივი შეხვედრა გამართა ნატოს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთანაც.

დავით მირცხულავა:

უნდა მოძებნილიყო რაიმე ოპტიმალური გადაწყვეტილება

„გაზპრომთან“ მიღწეული შეთანხმების საკითხზე, პარლამენტში მისვლას არ აპირებს ენერგეტიკის მინისტრი. კახა კალაძე არასერიოზულად თვლის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია და თემა დახურულია.

რამდენად მომგებიანია ფინანსური და ეკონომიკური კუთხით აღნიშნული ხელშეკრულება და ჰქონდა თუ არა მთავრობას შანსი, რომ უკეთესი ხელშეკრულება დაედო? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას ესაუბრა.

— საპარლამენტო უმცირესობა აცხადებს, „გაზპრომთან“ მიღწეული შეთანხმება ის ვერსიაა, რომელიც რუსეთს აწყობდა. როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქართველო იმ ვერსიას დათანხმდა, რომელიც რუსეთისთვის იყო მნიშვნელოვანი, თუ უბრალოდ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა?

— მეტად რთული და მრავალასპექტიანია ეს ხელშეკრულება. თუ გადავხედავთ ბოლო 25 წლის მანძილზე რუსეთთან მოლაპარაკების ისტორიას ნებისმიერ სფეროში, არა მგონია, რომ რომელიმეს რამე წარმატებული შედეგი ჰქონდეს. ამ მიმართებითაც ძალიან რთულია რუსეთთან, „გაზპრომთან“ ისაუბრო ისე, რომ საუკეთესო შედეგი იქნას მიღწეული. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას, რომ ეს შედეგი, რომელიც დაიდო, განპირობებული იყო წინა წლის მოლაპარაკებების შედეგით. ვგულისხობ 2015 წლის დეკემბრის მოლაპარაკებას, რომელიც შედგა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და „გაზექსპორტს“ შორის, რომელიც „გაზპრომს“ დაქვემდებარებული ორგანიზაციაა. მაშინ იყო მიღწეული გადაწყვეტილება, რომ 2016 წელს შეუნარჩუნდებოდა საქართველოს იგივე რეჟიმი, რაც ჰქონდა 2003 წლიდან, ანუ შენარჩუნდებოდა 10%-იანი რეჟიმი ტრანზიტული გაზის მოცულობაზე. მაგრამ მაშინვე იყო ნათქვამი, რომ ეს იყო ბოლო წელი და შემდეგ უკვე გატარება იქნებოდა ფულადი ანაზღაურებით.

იხ. 2 გვ.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი:

გალარების პროგრამა რესტრუქტურიზებულ სესხებსაც შეეხება

4

ალექსანდრ ჰერტელი:

საქართველოს არც ევროკავშირის წევრობაში აქვს პერსპექტივა, თუმცა, იქაური რეფორმები ქებას იმსახურებს

8

2 პრეზიდენტი პარლამენტს მოუწოდებს, „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პარალელურად წარმოადგინოს რისკების პრევენციის გეგმა

მანანა ივერიელი:

მსოფლიო ქოლერასა და შავ ჭირს მოერია, გრიპის ვირუსს კი დღესაც ებრძვის!

6

პრეზიდენტი პარლამენტს მოუწოდებს, „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პარალელურად წარმოადგინოს რისკების პრევენციის გეგმა

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს მიმართავს, რათა გააძლიერონ ზედამხედველობა „გაზპრომთან“ მიღწეულ შეთანხმებასთან დაკავშირებით. მარგველაშვილი მოითხოვს, წარმოადგინონ გეგმა, თუ როგორ მოხდება მოსალოდნელი რისკებისა და საფრთხეებისგან დაზღვევა და ამ რისკების მინიმალიზაცია.

„ქვეყნის პირველი პირი მოუწოდებს პარლამენტს, განახორციელოს მისი კონსტიტუციური ვალდებულება და გააძლიეროს საზედამხედველო ფუნქცია, ასევე შემოგვთავაზოს გეგმა, თუ როგორ მოხდება მოსალოდნელი რისკებისა და საფრთხეების დაზღვევა და მინიმალიზაცია“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ.

ქუცნაშვილი: საакაშვილს სამართლიანი მისაგებელი გამოუტანეს — არჩევნებზე ამ ორი ჯგუფიდან რომელილაცამ უნდა გაიმარჯვოს

„თუ საკუთარ თავს არ გამოუტანთ სამართლიან მისაგებელს, ამას გამოგიტანენ შენი პარტიის წევრები და მე მგონი, გამოუტანეს კიდეც“, — ასე ეხმაურება „ქართული ოცნების“ დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი „ენმ“-ს ყოფილი წევრებისა და მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობას. გუშინ გამართულ ბრიფინგზე ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ ეს პროცესი უფრო სერიოზულ სკანდალებში გადაიზრდება, ვინაიდან ორი ჯგუფიდან ერთმა უნდა გაიმარჯვოს:

„სიაში შეიყვანეს თავისი ხალხი და დარჩა მიშა თავის აგრესიულ ჯგუფთან ერთად მცირე რაოდენობით. ეს პროცესი, ალბათ, კიდევ უფრო სერიოზულ სკანდალებში გადაიზრდება იმიტომ, რომ გამორიცხულია, მათ შეძლონ ამომრჩევლების ხმების კონსოლიდირება ამ ორსუბიექტიანი შეჯიბრის დატოვების შემთხვევაში. როგორც ირმა ინაშვილმა წაართვა ამომრჩეველი ნინო ბურჯანაძეს და ბურჯანაძე ბარიერს მიღმა დატოვა, ასევე ამ ორი ჯგუფიდან რომელილაცამ უნდა გაიმარჯვოს. მათ ერთი ამომრჩეველი ჰყავს, ამიტომ ან ერთმა უნდა წაართვას ამომრჩეველი, ან მეორემ. ასე რომ, ეს ორი ჯგუფი, ალბათ, მრავალი თვის განმავლობაში იქნება დაპირისპირებულ რეჟიმში და პოლიტიკის კანონი გვკარნახობს, რომ რომელილაცამ უნდა გაიმარჯვოს რომელილაცაზე. სხვა შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მივიღოთ სიტუაცია, რომ ორივე მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და ორივე დადგება დამარცხების რისკის ქვეშ“, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

დავით მირცხულავა: უნდა მოძებნილიყო რაიმე ოპტიმალური გადაწყვეტილება

(პირველი გვერდიდან)

— ფინანსური და ეკონომიკური კუთხით რამდენად მომგებიანია აღნიშნული ხელშეკრულება?

— ფინანსურ-ეკონომიკური კუთხით, ეს ხელშეკრულება მომგებიანი არ არის ჩვენთვის და ამას სამინისტროც აღიარებს. გაცილებით მომგებიანი, როგორც ფინანსურად, ასევე ეკონომიკურად იყო 2003 წლის ხელშეკრულება, როცა ჩვენ 10%-ს ვიღებდით ბუნებრივი გაზით. მაგრამ ქართულ მხარეს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ რაღაცა ოპტიმალური გადაწყვეტილება ეპოვა და არ მიეყვანა გართულება ახალ ქართულ-რუსულ გაზის ომზე, ანალოგიური რაც უკრაინაში მოხდა.

წინა წლებისგან განსხვავებით, რუსეთს ჰქონდა ერთი ბერკეტი, რომელსაც ადრე ვერ იყენებდა, სწორედ 2016 წელში ჩატარებული რეაბილიტაციის შემდეგ, მათ შეეძლოთ ალტერნატივად ირანიდან შეეტანათ გაზი სომხეთში. იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მილსადენით სომხეთს 2,4 მილიარდამდე მიეწოდება, ამ დიაპაზონში საკმაო რაოდენობას მიიღებდა ირანიდან და ჩვენი მილსადენის შემოსავალი გაცილებით შემცირდებოდა.



— თუმცა, იგივე უმცირესობა ამტკიცებს, რომ ეკონომიკურად ეს არის ძალიან წამგებიანი ხელშეკრულება...

— მეც ვამბობ, რომ ეკონომიკურად და ფინანსურად ეს არის წამგებიანი ხელშეკრულება, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ უამრავი რისკები არსებობდა, რომლის ჩამოთვლა ახლა არ მინდა. ვფიქრობ, ჩვენ არ უნდა მიგვეყვანა სიტუაციის გამწვავება იმ დონემდე, რომ ქართულ-რუსული გაზის ომი გაგვემართა. სამწუხაროდ, ჩვენ ენერგეტიკულად ჯერ კიდევ დამოკიდებული ვართ რუსეთზე.

გავიხსენოთ ისიც, რომ ენგურჰესი არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენი ენერგეტიკის 40%-ია. ამიტომ, ვთვლი, რომ შეიძლებოდა გამწვავება, მაგრამ არა კრიტიკულ ზღვარზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავყოლოდით მათ პროვოკაციაზე, რომელსაც შეიძლება გაცილებით მძიმე შედეგები მოეტანა ქვეყნისთვის. ცალსახად ვაცხადებ, რომ ეკონომიკურად და ფინანსურად ეს უფრო წამგებიანია, ვიდრე ადრე არსებული რესურსი.

— თქვენ იყავით პირველი ენერგეტიკის მინისტრი, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება „გაზპრომთან“ და მაშინაც, სწორედ ეს პოლიტიკური ძალა აცხადებდა, რომ რუსეთისთვის საჭირო ხელშეკრულება გააფორმეთ...

— მაშინ სხვა მომწოდებელი ჩვენთან არ არსებობდა. მანამდე შემოჰქონდა „იტერას“, რომელიც აფილირებული კომპანია იყო მაინც „გაზპრომთან“, მაგრამ კომპანია, ვისაც ჩვენთან გაზი შემოჰქონდა, რეგისტრირებული იყო აშშ-ში. ეს იყო „გაზპრომის“ ხელმძღვანელების მიერ დაარსებული კომპანია. „იტერას“ უკვე არ ჰქონდა გაზის მოწოდების უფლება, ამიტომ იყო ერთი კომპანია, იქ სხვა ასპექტებიც იყო.

ერთი რამ მინდა ვთქვა, ის ხალხი აკრიტიკებს ამ ხელშეკრულებას, რომლებიც 2008 წლის ომის შემდეგ ენგურჰესის გადაცემას უპირებდა რუსეთს. ომის შემდეგ მარეგულირებელი სადგურები, როგორიც არის „ხრამი 1“ და „ხრამი 2“, მიჰყიდა რუსეთს. კიდევ ერთი, რაც ყველაზე მთავარია, 2005 წელს საქართველოში გაიხსნა „გაზექსპორტის“ ფილიალი და შემდეგ „გაზექსპორტის“ ფილიალის ხელმძღვანელი დანიშნეს „თბილგაზის“ ხელმძღვანელად. სწორედ იმ პერიოდში იყო საუბრები მაგისტრალური გაზსადენების გაყიდვაზე. ამიტომ, მიჭირს ვთქვა, რას იზამდა სხვა გუნდი.

— ეს იყო მაქსიმუმი? მთავრობას ჰქონდა შანსი, რომ უკეთესი ხელშეკრულება დაედო?

— ყოველ შემთხვევაში ხელშეკრულებით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. იყო თუ არა უკეთესი ხელშეკრულების შანსი, ამაზე ახლა ვარსკვლავებზე მარჩიელობა გამოგვივა, რაც არ არის სწორი.

— რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, პოლიტიკურ ნაწილს ვერ ავცდებით...

— რა თქმა უნდა. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად ფრთხილად უნდა გავიაროთ ეს პერიოდი. იმიტომ, რომ ორი წელი არის ჩვენთვის განმსაზღვრელი. თუ „შაჰ დენიზის“ მეორე ფაზა ნორმალურად დამთავრდა, რისი იმედიც საექსპორტო საზოგადოებას აქვს, ჩვენ მივიღებთ ისეთ შეცვლილ მოცულობას, როცა უკვე არ დაგვჭირდება რუსული გაზი.

ჩვენ საერთოდ არ ვიქნებით რუსულ გაზზე. ჩვენი დამოკიდებულება ისედაც ძალიან მცირეა — 8-12%-ს შეადგენს, მაგრამ ორი წლის შემდეგ მივიღებთ გაცილებით უკეთეს სიტუაციას. ის პროგნოზული გათვლები, რაც ამ პროექტს აქვს, გვაძლევს ამ ოპტიმიზის საშუალებას.

— უმრავლესობა თვლის, რომ „გაზპრომის“ მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, საქართველოს სატრანზიტო როლს ჩრდილი მიადგებოდა და გართულდებოდა სომხეთთან ურთიერთობა...

— რა თქმა უნდა, ესეც ერთ-ერთი სენსიტური თემაა. ჯერ ერთი, როცა მილსადენში არის ის მოცულობა, რომელიც შეიძლება გავატაროთ, არ შეიძლება არ გავუშვათ. მით უმეტეს, სომხეთი ჩვენი მეგობარია და ესეც იყო გასათვალისწინებელი. ამიტომ, ვინც ამბობს, რომ ეს მარტივი საკითხი იყო, აშკარად ცდება.

ძალიან ახლოს ვართ „შაჰ დენიზის“ მეორე ფაზის დასრულებასთან, მაქსიმალურად უნდა მივიღოთ საუკეთესო შედეგი. მთავრობის განცხადებით, ყველა რისკის აწონ-დაწონვით, ეს იყო ოპტიმალური გადაწყვეტილება. სურვილი მეც მქონდა, რომ უკეთესი შედეგი დადებულიყო. მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ჩვენ არ უნდა წამოვგებოდით პროვოკაციას.

თამთა ქარჩავა

საუკუნეს მიღწეული უცხოელის ქართული შთაბეჭდილებები

შვედური გამოცემა „Ostgota Correspondenten“*-ი ჟურნალისტ ერიკ ვოლსტენის სტატიას აქვეყნებს, სადაც მოცემულია ინტერვიუ 91 წლის **ლენარტ ლინდგრენთან**, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა და ჩვენს ქვეყანაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე წიგნი გამოსცა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვერსიას თავისუფალი თარგმანით:

ლენარტ ლინდგრენმა, რომელიც 91 წლისაა და ჩვენს ქალაქში (ლინჩეპინგი) ცხოვრობს, საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ წიგნი გამოსცა.

„საქართველო — პატარა ქვეყანა კავკასიაში“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული ავტორის მიერ გადაღებული ფოტოებით. გარდა ამისა, წიგნში მოცემულია სხვადასხვა მოკლე განმარტებებიც.

ამ ზაფხულს მე და ჩემმა ქალიშვილმა, სიძესთან ერთად, საქართველოში დავისვენეთ. ჩვენ ეს ქვეყანა ძალიან შეგვიყვარდა... საქართველოში ფანტასტიკური მთებია. თბილისში ყველა კეთილგანწყობით გვიმზერდა, ვგრძნობდით ქართველების პატივისცემას. რასაკვირველია, სიყვარულში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულმა ღვინომაც. საქართველო, როგორც ტურისტული მიმართულება, ჩვენთან კარგად არაა ცნობილი, მაგრამ ვფიქრობ, რომ გაიგებენ, იქ ბევრი გაემგზავრება. ამიტომაც დავწერე ეს წიგნი და გამოვეცი.

თბილისი, თავისი მილიონნახევრიანი მოსახლეობით, მოგზაურობისთვის იდეალური ადგილია. საქართველოს დედაქალაქს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თბილისში ბევრია სახვითი ხელოვნების მუზეუმები, ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, ისტორიული შენობები და მშვენიერი პარკები. ერთადერთი იმის გაკეთებაა საჭირო, რომ იქ ნანახი ყურადღებით აითვისოთ.

— ძნელია საქართველოში ჩასვლა?

— არანაირად. ძალიან იოლია და არცთუ ისე ძვირი. ჩვენ ჯერ ვარშავაში ჩავფრინდით, თუმცა თბილისში მოხვედრა შეიძლება რიგიდანაც, ტალინიდანაც და სტამბოლიდანაც.

წიგნის შეძენა იანვრის ბოლოდან ონლაინ-გაყიდვებითაც იქნება შესაძლებელი. ჯერჯერობით ტირაჟი მხოლოდ 100 ეგზემპლარია, რომლის ხარჯები თვითონ ავტორმა გაიღო.

— რამდენი ფული დახარჯეთ წიგნის გამოცემაზე?

— ოჰ, აქ ფული მთავარი არ არის, ეს საკითხი მე არ მაღელვებს. თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება ვმოგზაურობ, ფოტოსურათებს ვიღებ და ვიფიქრე, რომ ასეთი წიგნის გამოცემა სასარგებლო იქნებოდა.

ჩვენს მკითხველს კი ვაცნობებთ, რომ ლენარტ ლინდგრენი ლინჩეპინგში დიდი ხანია ცხოვრობს და ბევრს მოგზაურობს. იგი ადრე კომპანია „სააბის“ ქარხანაში ინჟინრად მუშაობდა.

**** „Ostgota Correspondenten“ — სამხრეთ შვედეთის ქალაქ ლინჩეპინგის ყოველდღიური გაზეთი, იბეჭდება 1838 წლიდან, ტირაჟი — 60 ათასი ეგზ.***

ის მაინც ურცხვად იტყვის: „ვერ მოგვართვეს!“

სააკაშვილი იარაღით ვაჭრობასა და ჟურნალისტების მოსყიდვაში ამხილეს

უკრაინულმა მედიამ სააკაშვილი იარაღით ვაჭრობასა და ჟურნალისტების მოსყიდვაში ამხილა. სტატიის თარგმანი საინფორმაციო სააგენტო „ექსკლუზივნიუსმა“ გაავრცელა, რომელსაც „რეპორტიორი“ უცვლელად გთავაზობთ:

გამოცემა „უკრაინული რევოლუცია“ ეხმაურება რამდენიმე დღის წინათ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილი საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებს იარაღით ვაჭრობით მიღებული თანხებით აფინანსებს. შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა მედიასაშუალება წერდა კიევის რესტორან „სან პაულუში“ გამართულ, სააკაშვილსა და კობა ნაყოფიას შეხვედრის შესახებ, სადაც საუბარი ეხებოდა მოსყიდული ჟურნალისტების დაფინანსების სქემებსა და თანხებს, რომლებსაც სააკაშვილის ბიძა – „კგბ“-ს ყოფილი მაღალჩინოსანი თემურ ალასანია ათეთრებს. „უკრაინული რევოლუცია“ წერს, რომ სააკაშვილი ცნობილია სკანდალური კარიერით. სააკაშვილი პორნოგრაფიის გადაღების გამო კიევის ინსტიტუტიდან გარიცხეს, იყო ბრალდებები აკრძალული ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებით, ასევე სააკაშვილის მრავალი სასიყვარულო თავგადასავლები, რაც თვით დონ ჟუანსაც შეშურდებოდა. გამოცემის თქმით, ამჟამად ბრალდებები ბევრად სერიოზულია, რადგან ნებისმიერ ცივილიზებულ ევროპულ სახელმწიფოში იარაღით ვაჭრობა პოლიტიკური კარიერის დასრულებას ნიშნავს. რედაქცია აქვეყნებს ექსპერტების მოსაზრებებს, რომლებიც აცხადებენ, რომ სააკაშვილსა და მის პარტიას „Рух новых сил“ შორს მიმავალი გეგმები აქვთ და სიტყვები „რევოლუცია“ და „გადატრიალება“ სააკაშვილის ლექსიკონში ხშირად ისმის. გამოცემა „ОРД“-ზე დაყრდნობით, პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ საქართველოში პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ კონფლიქტია, რომლის მიზეზი გახდა ის, რომ სააკაშვილის ახალი სტრატეგია მიუღებელი გახდა პარტიის ბევრი ლიდერისა და პარლამენტის წევრისთვის. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა საქართველოში არჩევნები წააგო, მან გადაწყვიტა, „ნაციონალური მოძრაობის“ მთელი ინფრასტრუქტურა უკრაინაში მის პოლიტიკურ ბრძოლას მოახმაროს, რასაც ბევრი არ დაეთანხმა და შედეგად 21-მა დეპუტატმა 27-დან პარტია დატოვა. გამოცემა წერს, რომ ამის შემდეგ ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ სააკაშვილმა ჟურნალისტების მოსყიდვა დაიწყო. „უკრაინული რევოლუციის“ ინფორმაციით, სქემის მიხედვით, თემურ ალასანია ყიდის იარაღს, ფული მიდის სააკაშვილთან და მის „მოლარე“ კობა ნაყოფიასთან, შემდეგ ხდება ჟურნალისტების მოსყიდვა, დასახელებულია კონკრეტული ფასიც – 4000 ამერიკული დოლარი თვეში. პუბლიკაციის შინაარსს წყვეტს უშუალოდ სააკაშვილი ან ახალაია, რომელიც საქართველოში ცნობილია ადამიანების წამებით სააკაშვილის მმართველობის დროს. გამოცემამ გაარკვია, რომ ერთ-ერთი მოსყიდული ჟურნალისტი ელისო კილაძეა. ანონიმურმა წყარომ გამოცემას მიაწოდა ვიდეომასალა, სადაც ასახულია ჟურნალისტის ერთ-ერთი ვიზიტი კიევში, 31 ოქტომბერს, რეისით 516 თბილისი-კიევი. ვიდეომასალაში ჩანს ელისო კილაძე ბორისპოლის აეროპორტში. კიევში სკანდალურ ჟურნალისტს სააკაშვილის პირადი დაცვის წევრი დახვდა და სააკაშვილთან მიაცილა. მეორე დღესვე, რეისით 517 ელისო კილაძემ კიევი დატოვა და თბილისში დაბრუნდა. სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ელისო კილაძემ გამოაქვეყნა რიგი პუბლიკაციები სააკაშვილის ყოფილი მომხრეების წინააღმდეგ. გამოცემა „უკრაინული რევოლუცია“ აგრძელებს თემაზე მუშაობას და არკვევს იმ ჟურნალისტების ვინაობას, ვისაც სააკაშვილი აფინანსებს და მათი სახელების გამოქვეყნებას აანონსებს, ასევე, ეცდება, გაარკვიოს, სად ყიდიან იარაღს მიხეილ სააკაშვილი და თემურ ალასანია.

გამოგონილი, სენსაციური სიტყვის „ბიზნესი“

ინფორმაციით „გართობის“ საფრთხე მსოფლიოსა და საქართველოში

***ოძს ფორდის** ლექსიკონის განმარტებით, 2016 წლის მთავარ სიტყვად დასახელდა „პოსტსიმართლე“. „გამოგონილი ახალი ამბები“, „ინფორმაციით გართობა“, „ინფორმაციის მიზანმიმართულად არასწორი გავრცელება“, იგივე დეზინფორმაცია – ეს არის არასრული ჩამონათვალი ცნებებისა, რომლებიც ბოლო პერიოდის სოციალური და პოლიტიკური დისკუსიების დროს გვესმის. სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები ერთობლივად მიუთითებენ საფრთხეებზე, რომელთა პირისპირაც აღმოჩნდა თანამედროვე მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით. იმ ექსპერტთა შორის, რომლებსაც ვესაუბრეთ ამ თემაზე, არის საერთაშორისო ორგანიზაციების მედიაკონსულტანტი, თბილისში მოღვაწე ჟურნალისტი ონიკ ჯეიმს კრიკორიანი. დღეს შემოგთავაზებთ მასთან ინტერვიუს მოკლე ვერსიას.*

რადიო თავისუფლება: როგორ ფიქრობთ, რა მთავარი საფრთხეები ახლავს „გამოგონილი ამბების“ გავრცელებას?

ონიკ ჯეიმს კრიკორიანი: არსებობს საფრთხე, რომ ყველა ამბავს „გამოგონილი ამბავი“ ვუწოდოთ. მაგალითად, შეიძლება რუსეთმა თქვას, რომ ის, რასაც რადიო თავისუფლება ამბობს, „გამოგონილია“. ამ გზით უფრო მარტივდება იმ მედიასაშუალებების კრიტიკა, რომელიც არ მოგვწონს. დღეს უკვე ძალიან ბევრი ვინმე იყენებს ამ ცნებას, მათ შორის დონალდ ტრამპი, რომელმაც „გამოგონილი ამბები“ ახსენა, როდესაც სცადა, თავი აერიდებინა ჟურნალისტის კითხვისთვის. ტრამპის მხარდამჭერებს კი უკვე სჯერათ, რომ „სი-ენ-ენი“ მართლაც „გამოგონილ ამბებს“ ავრცელებს. ვფიქრობ, ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ამ ტერმინის გამოყენებისას. შეგიძლიათ ისაუბროთ ჟურნალისტიკაზე, რომელიც ფაქტებს არ ემყარება, შეგიძლიათ ახსენოთ დეზინფორმაცია, მაგრამ უმჯობესია, ნაკლებად გამოიყენოთ „გამოგონილი ამბის“ ცნება. ამავე დროს, ჩემი დაკვირვებით, „გამოგონილი ამბები“, რომლებსაც ხალხის შეხედულებათა მანიპულაციის მიზნით იყენებენ, ეკონომიკური შემოსავლის წყაროც გახდა. **ამის მაგალითია ქართველი და მაკედონიელი ახალგაზრდების გადაწყვეტილება, შეექმნათ ყალბი ვებსაიტები, რომელთაც მათთვის ფული უნდა მოეტანა. ვფიქრობ, მათ ნაკლებად ადარდებდათ „გამოგონილი ამბების“ გზით პოლიტიკური აზრის მანიპულაცია.**

რადიო თავისუფლება: თქვენ ისაუბრეთ „გამოგონილი ამბების“ წინააღმდეგ მიმართული ზომების ნაკლზე. ისიც ახსენეთ, რომ პირველ რიგში აუცილებელია განვსაზღვროთ, რას ვუწოდებთ „გამოგონილ ამბავს“. და მაინც, თუ გადაწყდა, რომ საჭიროა ბრძოლა ასეთ ამბებთან, როგორ ფიქრობთ, საამისოდ საუკეთესო გზა რა იქნება?

ონიკ ჯეიმს კრიკორიანი: ვფიქრობ, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება სოციალურ მედიას, თუმცა არა ბიზნესის შეზღუდვის ხარჯზე. ფეისბუქმა, ფაქტების გადამოწმების მიზნით, სწორედ ახლა დაიწყო თანამშრომლობა დიდ საინფორმაციო სააგენტოსთან, რაც გულისხმობს იმას, რომ გადამოწმდება და სახელი დაერქმევა იმას, თუ რა არის ნამდვილი ამბავი და რა – „გამოგონილი ამბავი“. პრობლემას ეს სრულად ვერ მოაგვარებს, რადგან რთულია, ადამიანს აუკრძალო ყალბი საიტების შექმნა. ამის მაგალითია ჯიჰადისტების მიერ შექმნილი საინფორმაციო საიტები. ერთს რომ გააუქმებ, მალევე გამოჩნდება მეორე მსგავსი საიტი, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ სოციალურ მედიას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. მეორე მხრივ, ვფიქრობ, აუცილებელია, მედიამ გაზარდოს მის მიმართ საზოგადოების ნდობა, რაც პროფესიული მუშაობის გაუმჯობესების ხარჯზე მიიღწევა. არ ვარ დარწმუნებული, რომ ტრადიციული მედიის მიმართ ახლა ისეთივე ნდობა არსებობს, როგორიც ადრე იყო. **კავკასიის კვლევითი რესურსების ერთ-ერთი უახლესი გამოკვლევის თანახმად, საქართველოშიც მნიშვნელოვნად არის შემცირებული მედიის მიმართ საზოგადოების ნდობა.** ასეა აშშ-შიც. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მეინსტრიმული მედიის პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის გაზრდა. გარდა ამისა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია წიგნიერების საკითხი, რაც გულისხმობს, რომ ინტერნეტის ყველა მომხმარებელს ელემენტარული ცოდნა მაინც უნდა ჰქონდეს. ძალიან მაშფოთებს, ის რომ ბევრი სრულიად გაუცნობიერებლად იყენებს სოციალურ მედიას. ჩემი მეგობრებიც კი, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, საკმარისად კრიტიკულად არ ეკიდებიან ინტერნეტით გავრცელებულ ამბებს. ისინი ჯერაც ფიქრობენ, რომ, თუ კონკრეტულ ამბებს ინტერნეტში ჰყვებიან, ე.ი. ეს ნამდვილი ამბებია. არადა, ხომ ვიცით, რომ ასე არ არის.

სალომე აფხაზიშვილი

ნაცები ყრილობისთვის ემზადებიან

20 იანვრის ყრილობისთვის „ნაციონალურმა მოძრაობამ “ ათასი დელეგატი შეარჩია. დელეგატები შეირჩნენ რაიონული და საქალაქო ორგანიზაციებიდან. ყრილობას დაესწრებიან მიწვეული სტუმრებიც.

20 იანვარს სპორტის სასახლეში ახალ პოლიტსაბჭოს და პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეს აირჩევენ.

„დელეგატების შერჩევა დასრულებულია, რეგისტრირებული 7 ათას 136 დელეგატი,“ – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

* * *

ნინო კალანდაძის ინფორმაციით, პარტიის ყრილობაზე თავმჯდომარის არჩევა არ მოხდება იქამდე, ვიდრე არ დასრულდება პოლიტიკური რეპრესიები და ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობა დეკლარაციის მიღებას გეგმავს.

რაც შეეხება გენერალური მდივნის თანამდებობას, კალანდაძის თქმით, ვინაიდან ვანო მერაბიშვილს არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია, ის დარჩება თავის თანამდებობაზე.

მისივე თქმით, ყრილობაზე არჩეული იქნება პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა, პოლიტსაბჭოს ახალი თავმჯდომარე, ასევე სხვა მმართველობითი თანამდებობები.

არჩილ მესტვირიშვილი:

გალარების პროგრამა რესტრუქტურიზებულ სესხებსაც შეეხება

მთავრობის მიერ დაწყებულ ე.წ. გალარების პროგრამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი გვესაუბრება

გალარება დაიწყო 17 იანვარს და გაგრძელდება ორი თვის განმავლობაში. ამ პერიოდში, მათთვის სასურველ დროს შეუძლიათ მსესხებლებმა მიმართონ მათ, ვისაც ეხება პროგრამა მომსახურე ან სხვა კომერციულ ბანკს.

სესხი გაცემული უნდა იყოს ფიზიკურ პირზე 2015 წლის 1 იანვრამდე, უნდა იყოს აშშ დოლარით და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი.

პროგრამა არის ერთჯერადი პროექტი, რომელსაც ერთობლივად ვახორციელებთ ეროვნული ბანკი და საქართველოს მთავრობა.

მთავრობა უზრუნველყოფს შეღავათიანი კურსით სესხების გალარების ხარჯების სუბსიდირებას. ეროვნული ბანკი კი კომერციულ ბანკებს მიაწვდის გალარებისთვის საჭირო აშშ დოლარს და მოახდენს ლარის ლიკვიდობით მხარდაჭერას.

პროგრამა არ ითვალისწინებს ბანკების ან მსესხებლების მიერ დამატებითი ხარჯების გაწევას, მათ შორის, ასეთ სესხებზე არ იქნება გამოყენებული წინასწარ დაფარვის ან რეფინანსირების საკომისიო.

სესხების გალარება ნებაყოფლობითია. პროგრამაში მონაწილეობა მსესხებელს მისცემს საშუალებას, მისი ხარჯები მომავალში იყოს სტაბილური და პროგნოზირებადი.

ბანკები ვალდებული არიან ამ პროგრამის შესახებ აცნობონ ყველა პოტენციურ ბენეფიციარს, ვისაც შეიძლება ეხებოდეს სუბსიდია.

პროგრამის ფარგლებში დასაშვებია პორტირება, ანუ მსესხებელს ექნება საშუალება შეთავაზებული პირობებიდან გამომდინარე თავად გადაწყვიტოს თუ რომელ ბანკში ურჩევნია სესხის გალარება.

სუბსიდია არ შეეხება მაღალი შემოსავლების მქონე პირებს, ანუ ვისი წლიური შემოსავალი 2015 წელს 100,000 ლარზე მეტი იყო ან ვისი სესხის ნარჩენი ოდენობა აღემატება 100 ათას აშშ დოლარს.

სულ დაახლოებით 27,000 ფიზიკურ პირს შეეხება პროგრამა, საშუალო სესხის მოცულობა 15,000 აშშ დოლარია.

— თუკი სები მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებს (და, როგორც ჩანს, გაამკაცრებს), არსებული ინფლაციის მოლოდინის ფონზე, როგორია მთავრობის გათვლები და პროგნოზები, მოქალაქეებს უღირთ და მოუნდებათ კი ამ პროგრამაში მონაწილეობა?

— როგორც უკვე აღვნიშნე, პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. აღნიშნული პროგრამა მსესხებლებს შესაძლებლობას მისცემს, ისარგებლოს შეღავათიანი კურსით სესხების გალარებისას და არ გადაიხადოს სესხის წინასწარ დაფარვის საკომისიო. გარდა ამისა, პროგრამის მონაწილის შემოსავალი აღარ იქნება დამოკიდებული კურსთაშორის სხვაობაზე და მას სესხის მომსახურება იმ ვალუტით შეეძლება, რომელშიც აქვს შემოსავალი.

ლარის და აშშ დოლარის სესხების პროცენტებს შორის სხვაობა ის ხარჯია, რომელსაც მომხმარებელი სავალუტო რისკის დაზღვევისთვის იხდის, ლარში სესხი კი იძლევა სავალუტო რისკისგან დაზღვევის საშუალებას. ის ასევე უზრუნველყოფს მსესხებლის მიერ სესხის მომსახურებაზე გასაწევი დანახარჯების პროგნოზირებადობას. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს კონვერტაციის ხარჯები, რაც არ არის ლარის სესხის შემთხვევაში.

— შემეძლება თუ არა სურვილის შემთხვევაში სესხის ისევ დოლარში გადატანა?

— 2017 წლის 15 იანვრიდან ფინანსურ ინსტიტუტებს ეკრძალებათ უცხოური ვალუტით სესხის გაცემა, თუ სესხის მოცულობა 100,000 ლარზე ნაკლებია. თუმცა მოცულობის ზრდის შემთხვევაში, სესხის უკან დოლარში გადატანა შესაძლებელია, თუმცა ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი კვლავ იქნება სავალუტო რისკის ქვეშ.

— რესტრუქტურიზებულ სესხებს შეეხება თუ არა?

— ასეთი სესხი ასევე მიიღებს მონაწილეობას სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

— ვადების შეცვლა თუ არის მოსალოდნელი? ანუ რამდენად მოსალოდნელია მომავალში გალარება შეეხოთ იმ მსესხებლებსაც, რომლებსაც სესხი 2015 წლის 1 იანვრის მერე აქვთ აღებული?

— არა, ასეთი ცვლილება პროგრამაში მოსალოდნელი არ არის.

— რატომ შეირჩა 2015 წლის 1 იანვარი?

— აღნიშნული სქემის მიზანია, მომხმარებლებს შევუმსუბუქოთ სესხის მომსახურების ტვირთის ზრდა, რაც გაცვლითი კურსის ცვლილებამ განაპირობა. არსებული გათვლებით, ყველაზე მეტად ეს შეეხო 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებს. მათ, ვინც უკვე კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ აიღო სესხი, აღნიშნული ინიციატივა არ ეხებათ, თუმცა მათ აქვთ საშუალება ბანკებს მოელაპარაკონ და გაალარონ სესხები.

— რა პროცენტით გასცემს კომერციული ბანკი გალარებულ სესხს?

— კომერციული ბანკები გალარებულ სესხებს გასცემენ არსებული საბაზრო პროცენტით. მაგალითად, დღეის მდგომარეობით ლარით გაცემული ცვლად პროცენტიანი იპოთეკური სესხების საბაზრო პროცენტი 10%-ის ფარგლებშია.

— რა კურსით მოხდება სესხის გალარება?

— სესხების გალარება მოხდება გალარების დღეს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსს გამოკლებული 20 თეთრი. მაგალითად, თუ აშშ დოლარის მიმართ ოფიციალური გაცვლითი კურსი არის 2.7 ლარი, მაშინ სესხის გალარება მოხდება 2.5 კურსით. კურსთაშორის სხვაობა დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

— დოლარში გაცემული სესხების ლარში გადაყვანა კრედიტის მქონე მოქალაქეების მხრიდან დოლარზე მოთხოვნას შეამცირებს, მაგრამ, მეორე მხრივ, კომერციულ ბანკებს უნარჩუნდებათ დოლარზე მოთხოვნა, რადგან მათ ეს ვალი ხომ უცხოურ ვალუტაში აიღეს. რამდენად გათვლილი აქვს ეს ფაქტორი მთავრობას და რამდენად ნეგატიური შეიძლება იყოს ეს მომენტი ლარის კურსისთვის?

— გალარების პროგრამის მთავარი მიზანია ის, რომ სავალუტო რისკი გადავიდეს მათზე, ვისაც მისი მართვა შეუძლიათ. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, მათ ეს შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ.

სესხების გალარებისთვის აშშ დოლარის საჭირო მოცულობას ეროვნული ბანკი უშუალოდ მიაწვდის კომერციულ ბანკებს. შესაბამისად, ეს არ მოახდენს გავლენას არც გაცვლით კურსზე და არც ბანკების სავალუტო პოზიციაზე.

— იმ შემთხვევაში, თუკი მომსახურე ბანკი პროგრამის პოტენციურ მონაწილეს არ დაუკავშირდა 5 დღის ვადაში, როგორ უნდა მოიქცეს ის?

— ჩვენ მივეცით მითითება კომერციულ ბანკებს, რომ 5 სამუშაო დღის განმავლობაში შეეხმიანონ და აცნობონ ამ სიახლის შესახებ იმ პირებს, ვისაც ეს აქცია პოტენციურად ეხება. ამის ვალდებულება კომერციულ ბანკებს აქვთ.

თუმცა, თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ სესხების გალარების პროგრამა მას ეხება და ამავე დროს მომსახურე ბანკიდან მას არავინ უკავშირდება, ბუნებრივია, მას აქვს უფლება, თავად მივიდეს ბანკში და გაეცნოს გალარების პირობებს.

— გალარების პროგრამა გაზრდის თუ არა ფულის მასას?

— აღნიშნული პროგრამა ფულის მასას არ გაზრდის.

ესაუბრა
ბახვა ლარიაშვილი

რიგით მესამე მედიათეკა თბილისში

თბილისის ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკში (ე. წ. კიკვიძის პარკში) რიგით მესამე მედიათეკის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. დასრულებულ სამუშაოებს თბილისის მერი დავით ნარმანია, მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროს გივი კუბლაშვილთან და ნაძალადევის რაიონის გამგებელ ირაკლი ხელაძესთან ერთად, გაეცნო.

„აქ წინა ორ მედიათეკასთან შედარებით უფრო დიდი სივრცეა, შესაბამისად, უფრო მეტ ადამიანს მოვემსახურებით. დღეს სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. ახლა მედიათეკის გაერთიანება მას აღჭურვავს და ყველაფერს მოამზადებს, რათა გაზაფხულზე სივრცე გაიხსნას. ამით კიდევ ერთი ძალიან საინტერესო პროექტი გაკეთდა და ნაძალადევის რაიონში მოქალაქეებისთვის კარგი სივრცე შეიქმნა. აქ შეიკრიბებიან ახალგაზრდები, კითხვით დაინტერესებული პირები. შესაძლებელია სხვადასხვა ძალიან საინტერესო ღონისძიების ჩატარება გარე პერიმეტრზე როგორც ზამთარში, ასევე ზაფხულში,“ — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ. პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2 087 000 ლარი დაიხარჯა.

ბათუმსა და სამსუნს შორის საბორნე რეისების რაოდენობა გაიზრდება

სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, თურქეთის მხარეს, მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო გამოწვეული შეფერხებების დროს, საბორნე რეისებით ტრაილერების და მგზავრების გადაყვანა დიდ მნიშვნელობას იძენს.

ამჟამად ბათუმი-სამსუნი საბორნე რეისი კვირაში ერთხელ სრულდება. ხომალდი ბათუმის პორტიდან 24 საათზე გადის და მას, მგზავრებთან ერთად 95 ტრაილერის გადაყვანა შეუძლია. ბორნით 1 ტრაილერის გადაყვანის ხარჯი 450 დოლარია, რომელშიც მგზავრობის ტარიფი და კვება შედის. ბორანი ბათუმიდან სამსუნში ჩასვლას 12 საათს ანდომებს, რაც გადამზიდავებს დროს უზოგავს.

საბორნე რეისების სიხშირეების ზრდაზე აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე თამაზ შავაძე და თავმჯდომრის მოადგილე, აჭარის ტრანსპორტის, ლოჯისტიკის და გადამზიდველთა ასოციაციის თავმჯდომარე თამაზ თურმანიძე კომპანია Inchcape Shipping Services-ის წარმომადგენლებს უკვე შეხვდნენ. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში განმარტავენ, რომ მომავალში ბათუმსა და სამსუნს შორის საბორნე რეისები კვირაში 3 რეისამდე გაიზრდება.

განახლდება ხულო-გოდერძის დამაკავშირებელი გზა

17 იანვარს ფინანსთა სამინისტროში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდს შორის, რომელიც 8 მილიონი ქუვეითური დინარის ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფას ითვალისწინებს. კერძოდ, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ბათუმი-ახალციხის არსებული ორზოლიანი გზის დაახლოებით 29 კმ-იან ხულო-გოდერძის მონაკვეთს. პროექტი ასევე მოიცავს აღნიშნულ მონაკვეთზე 4 ხიდის რეკონსტრუქციას, წყალგამტარი მილების, შესაბამისი სადრენაჟო სისტემების მოწყობას და ასევე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მონიშვნებს.

პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ხულო-გოდერძის საგზაო მონაკვეთის აღდგენით მთავრობა ახორციელებს პრემიერ-მინისტრის 4-პუნქტიან გეგმას სივრცითი დაგეგმარების მიმართულებით, რომელიც კურორტ გოდერძიმდე მისასვლელი გზის აღდგენას ითვალისწინებს.

ეროვნული სიამაყით გამოწვეული დიდი კმაყოფილება

გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა I ტომი

დიდი მეცნიერი, გულანთებული მამულიშვილი, ქართველი ხალხის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის თავდადებული მოამაგე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი, საქართველოს მეჭურჭლეთ-უხუცესად წოდებული ექვთიმე თაყაიშვილი იმ მოღვაწეთა კოჰორტის ღირსეული წარმომადგენელია, რომლებმაც ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვეს ქართველი ხალხის ისტორიაში.

რაც დრო გადის უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება ე. თაყაიშვილის მოღვაწეობის მასშტაბი, იზრდება ინტერესი მისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის მიმართ. მის საიუბილეო თარიღს – 140 წლისთავს მიეძღვნა სოლიდური მოცულობის წიგნი „დიდი ექვთიმე“ (რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი), რომელიც მისი შრომითა და ბრძოლით აღსავსე ცხოვრებისა და მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის წარმოჩენას ეძღვნება, რისთვისაც დიდძალი საარქივო მასალაა მოხმობილი.

ახლახან დიდ საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. გამომცემლობა „არტანუჯი“ შეუდგა ე. თაყაიშვილის შრომების მრავალტომეულის გამოცემას. თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გამოქვეყნდა მრავალტომეულის I ტომი (მთავარი რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი, ტომის რედაქტორი პროფ. ბ. კუდავა), რომლის პრეზენტაციაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 17 იანვარს გაიმართა. ე. თაყაიშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულთა მრავალრიცხოვან აუდიტორიას მრავალტომეულის გამოცემის იდეის, შედგენილობის, მნიშვნელობის და სხვა საკითხების შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა მთავარმა რედაქტორმა აკად. რ. მეტრეველმა. სიტყვით გამოვიდნენ ტომის რედაქტორი პროფ. ბ. კუდავა, ქ. თბილისის მერი დ. ნარმანია, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, აკად. ნ. ხაზარაძე, პროფ. ნ. ვაჩნაძე.



ე. თაყაიშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაბნეული სიძველეების, სახელდობრ, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების – ციხე-სიმაგრეების, ეკლესია-მონასტრების, მათ კედლებზე შემორჩენილი ფრესკებისა და წარწერების, იქ დაცული ხელნაწერების, ჯვარ-ხატებისა და სხვა რელიკვიების – გამომზეურება, ფიქსაცია და კომპლექსური შესწავლა წარმოადგენდა. ამ მიზანს ემსახურებოდა არქეოლოგიური ექსპედიციები, რომლებსაც ის სისტემატურად აწყობდა 1902-1917 წლებში. არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, რომელსაც ე. თაყაიშვილის ექსპედიცია არ წვეოდა. თავისი არქეოლოგიური მოგზაურობების შედეგების გამოქვეყნებას დროდადრო ახერხებდა, რაც უმალვე იქცეოდა საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიის კარდინალური საკითხების კვლევის საფუძვლად. ექსპედიციების შედეგად მოპოვებული დიდძალი მასალის გამოქვეყნება მკვლევარმა ვერ მოასწრო, რაზეც ის მეტად წუხდა სიცოცხლის მიწურულს. ამ მიმართულებით შექმნილი შრომების ერთმა ნაწილმა მისი გარდაცვალების შემდეგ იხილა დღის სინათლე. და აი, დღეს უაღრესად საჭირო საქმის – ამაგდარი მეცნიერის მრავალტომეული გამოცემის წარმატებული დასაწყისის მოწმენი ვართ. საქმის ინიციატორთა ჩანაფიქრით, აქ თავს მოიყრის ე. თაყაიშვილის როგორც გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული, ისე მის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

მრავალტომეული სწორედ „არქეოლოგიური ექსპედიციებით“ იხსნება. I ტომში წარმოდგენილია ნაშრომები, სადაც სამხრეთ საქართველოს რეგიონებში (რომლებიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული), 1907 და 1917 წლებში ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალაა თავმოყრილი და მოიცავს კოლასა (მტკვრის ხეობა) და ტაოში (ჭოროხის ხეობა) მდებარე დადაშენის, ბანას, ოლთისის, ტაოსკარის, იშხნის, ოშკის, ხახულის, ოთხთა ეკლესიის, პარხალის და სხვ. ქართული ტაძრების, კალმახის, ფანასკერტის და ა. შ. ციხე-დარბაზების როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლების დახასიათებას, ისე იქ შემონახული ეპიგრაფიკული ძეგლების ტექსტებს სათანადო ილუსტრაციებით, გეგმა-ნახაზებითა და ფოტოებით. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა ერთი ნაწილი შესაბამის ნაშრომთან („არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“) ერთად აღნიშნულ გამოცემაში პირველად ქვეყნდება. შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო დასახელებულ წიგნში შეტანილი ნაშრომების მეცნიერული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მაგრამ, როგორც იტყვიან, გაგონილს ნანახი სჯობია და, როგორც მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „ძვირფასო მკითხველო, გიწვევთ ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა პირველი ტომის – ექვთიმე თაყაიშვილის სამხრეთ საქართველოში არქეოლოგიური მოგზაურობების გასაცნობად. თქვენ ეროვნული სიამაყით გამოწვეული დიდი კმაყოფილება გელოდებათ“.

გონერი არახამია,
პროფესორი

◎ მოსაზრებანი

სამშობლო ღმერთზე მაღლა დგას

ეს თეზა – „სამშობლო ღმერთზე მაღლა დგას“ – დღესაც ისეთივე ცხარე კამათს იწვევს, როგორც შუა საუკუნეებში (მაკიაველის დროს), ან ახალ ეპოქაში – XIX-XX საუკუნეებში. იხილავდა რა ნიკოლო მაკიაველის მიმართებას თავისი დაქუცმაცებული სამშობლოსადმი, ფრანჩესკო დე სანკტისი წერდა, რომ ნიკოლო მაკიაველისათვის ღმერთი მიწაზე ჩამოვიდა და სამშობლო დაერქვა. სწორედ სამშობლოსთან მიმართებაში წამოაყენა მაკიაველმა თავისი ცნობილი თეზა – მიზანი ამართლებს საშუალებას, რომ თუ სამშობლოს სჭირდება, შეიძლება გადაუხვიო ქრისტეს მცნებებს – მოკლა კიდეც, მოიტყუო კიდეც, მოიქცე ამორალურად და ა.შ. ამადაც წერდა მაკიაველი, რომ **„ძვირფასია მშობლები, შვილები, ახლობლები და მეგობრები, მაგრამ სამშობლოა ერთადერთი, რომლის გულისთვის ესენი ყველა შეიძლება დაუფიქრებლად გაწირო“** (ამის კარგი მაგალითი ქართველებმაც მოგვცეს გიორგი სააკაძის და იოსებ ჯუღაშვილის სახით, რომლებმაც შვილები გაწირეს ქვეყნის გულისთვის.).

დღესაც ქართველთათვის მეთერთმეტე მცნებად მიჩნეულია რაფიელ ერისთავის ბრწყინვალე თეზა „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“, რომელმაც ტოლობის ნიშანი დასვა უფალსა და სამშობლოს შორის. ქართველების შეგნებული ნაწილი ქრისტეანობამდეც აღმერთებდა სამშობლოს და აღმერთებს დღესაც.

ლოგიკურად, თუ ღმერთმა შექმნა სამყარო, სამშობლოც მან შეგვიქმნა და ქართველობაც მან განსაზღვრა ისეთად, როგორებიც დღემდე ვართ. მას არავინ უარყოფს, მაგრამ ორჯერ ორი ყოველთვის არ არის ოთხი: არის მომენტები, როცა სამშობლო ღმერთზე მაღლა დგას.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამშობლო და მისი ეროვნული ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსული, ამერიკული თუ ევროპული ღირებულებები.

ასეა ეს?

ქართველ პოლიტიკოსთა პანთეონისათვის ეს საკითხი არაერთხელ დასმულა, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ჩვენი აზრით, არ შეიძლება პოლიტიკოსებს მთაწმინდის და დიდუბის პანთეონში კრძალავდნენ (მერაბ კოსტავაზე და ზვიად გამსახურდიაზე გამონაკლისი იქნა დაშვებული იმიტომ, რომ მათი მთავარი ღვაწლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერობა იყო და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის). ჯობია, ისინი სხვაგან დაიკრძალონ თავიანთი დამსახურების მიხედვით. ასეთ ადგილად მიმაჩნია კრწანისის რეზიდენცია, სადაც დასაფლავებულია ედუარდ შევარდნაძე.

შევარდნაძემ, თავისი შეცდომებისა და ცოდვების მიუხედავად, მაინც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეში და შეიძლება მისი იქ განსვენება, სადაცაა დაკრძალული.

თუ საზოგადოება გამოხატავს დადებით განწყობას, იქ შეიძლება გადასვენებული იქნეს ზურაბ ჟვანიაც (ექსჰუმაციის შემდეგ, რასაც აპირებენ შინაურები და გამომძიებლები).

მომავალში აქვე დაიკრძალებიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და ქვეყნის გაერთიანებაში. ასეთი ვერ იქნება ყველა პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ პარლამენტის თავმჯდომარე, არამედ მხოლოდ რჩეულნი (იგივე ეხება პარტიის ლიდერებსაც).

ბრძოლა დემოკრატიული კონსტიტუციისათვის

მომავალში ძნელად თუ დადგება ისეთი მომენტი, როცა რომელიმე პარტიამ შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება შეძლოს საქართველოს პარლამენტში. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ მართებს აუჩქარებლად, გონივრულად, საყოველთაო ჩართულობით დაიწყოს მზადება კონსტიტუციაში აუცილებელი ცვლილებების განსახორციელებლად.

პირველი, რაც უნდა დადგინდეს, ესაა პარლამენტის ადგილსამყოფელი. წინა პარლამენტის ნაკლებეფექტიანი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზი იყო საპარლამენტო მუშაობის წარმართვა ორ ქალაქში: ქუთაისსა და თბილისში. ეს არა მარტო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, არამედ ხელოვნურად გართულებულიც – 150 პარლამენტარის და პარლამენტში მომუშავე 700 ადამიანის აქეთ-იქით სირბილით.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პარლამენტი თბილისში, დედაქალაქში უნდა მუშაობდეს (ასეა მთელ მსოფლიოში). ამით შემცირდება შენახვის ხარჯებიც და გაიზრდება ეფექტურობაც (პარლამენტის ყოფილ შენობაში შეიძლება განთავსდეს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და ერთი სასწავლო კორპუსი).

მეორე და მნიშვნელოვანი, რაც უნდა შეიცვალოს, დეპუტატების და თანამდებობის პირების ასაკობრივი ზღვარია. **არ შეიძლება პარლამენტში იჯდეს და ქვეყნის ბედი გადაწყვიტოს 21 წლის უმწიფარმა ახალგაზრდამ, რაც უნდა ნიჭიერი იყოს იგი. თუ პრეზიდენტი 35 წლის მაინც უნდა იყოს, ამავე ასაკის უნდა იყვნენ მინისტრებიც და დეპუტატებიც (ყოველ შემთხვევაში 30 წლის მაინც პარლამენტარები და 25 წლის ადგილობრივი დეპუტატები). იგივე შეიძლება ითქვას მოსამართლეებზე, რომლებიც წყვეტენ ადამიანის ბედს და უნდა ჰქონდეთ ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა.**

თუ გადავხედავთ ჩვენი მეგობარი ქვეყნების გამოცდილებას, არსად თანამდებობებზე 35 წელზე ახალგაზრდა ასაკის ადამიანებს არ ნიშნავენ – არც აშშ-ში, არც გერმანია-საფრანგეთში, არც იაპონიაში (ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი აქ 53 წლის იყო). რომის სენატში კი არ ირჩევდნენ 60 წელზე ნაკლები ხნის ხალხს, იმიტომ რომ თანამდებობაზე ყოფნის დროს მთავარია არა მარტო ცოდნა, არამედ მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც ასაკს მოაქვს. ამიტომ, **სასურველია, ვიტრიალოთ 35-70 წლის ასაკს შორის. 70 წლის ასაკის მერე ადამიანს არ უნდა ჰქონდეს თანამდებობის დაკავების უფლება პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტში, სასამართლოში, ადგილობრივ ხელისუფლებაში, ის არ უნდა იქნას არჩეული არც პრეზიდენტად.**

თუ საზოგადოება გადაწყვეტს და მომავალი საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს, მაშინ სასურველია, პარლამენტი გახდეს ორპალატიანი და დღევანდელ პარლამენტს დაემატოს რესპუბლიკის საბჭოც რეგიონების უფლებების უკეთ დასაცავად. მოგიწოდებთ, აქტიურად ვიმსჯელოთ სხვა არანაკლებ (თუ უფრო მნიშვნელოვან არა) საკითხებზეც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ საკითხებს მიეკუთვნება ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და ფინანსურად უზრუნველყოფილი ადგილობრივი, ფართო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა, ასევე პრეზიდენტის არჩევის წესი და მისი რეალური უფლებამოსილების დადგენა.

ვაჟა შუბითიძე

◎ ᲒᲠᲘᲞᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲥᲝᲚᲔᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲕ ᲭᲘᲠᲡ ᲛᲝᲔᲠᲘᲐ, ᲒᲠᲘᲞᲘᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲡ ᲙᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ!

გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘ.

— სასუნთქი გზების ვირუსული დაავადებები მსოფლიო ჯანდაცვის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც რიგ შემთხვევებში სიცოცხლისთვის საშიშ საფრთხეს ატარებს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული გრიპის ვირუსია.

ზამთარი ძალაში შევიდა და ვირუსების მატებისა და გავრცელების რისკიც გაიზრდა. როგორ აისახება სხვადასხვა ტიპის ვირუსი პირის ღრუს ლორწოვანზე? პირის ღრუს ლორწოვანის რომელი დაავადებები გვხვდება ყველაზე ხშირად?

— პირის ღრუს ლორწოვანზე გამოხატულებას პოვებს ორგანიზმის ცალკეული სისტემის მრავალი დაავადება, რომელთა რიცხვი 500-ზე მეტია. მათგან ყველაზე ხშირი ვირუსული გენეზის დაზიანებანია, ე.წ. ვირუსული სტომატიტები (მარტივი ჰერპესი, კოკსაკის დაავადება).

მწვავე რესპირატორული ინფექცია — გრიპი არცთუ იშვიათად გამოვლინდება ვირუსული სტომატიტის სახით.

გრიპის ვირუსი უაღრესად ხშირად იცვლის ფორმას და განიცდის მუტაციას. ამით აიხსნება სწორედ ის ფაქტი, რომ მსოფლიო მოერია ქოლერასა და შავ ჭირს, მაგრამ მუდამ სახეცვლილი გრიპის ვირუსის დაძლევა 21-ე საუკუნეშიც ვერ ხერხდება!

გასულ საუკუნეში მსოფლიომ გადაიტანა სამი მსხვილი პანდემია: 1918-19 წლებში ე.წ. ისპანკა, რომელიც გამოწვეული იყო დღესაც კარგად ცნობილი H_1N_1 („ღორის“ გრიპი) ვირუსით. მისი მიზეზით 30 მლნ ადამიანი დაიღუპა! 1958 წელს — პანდემია, გამოწვეული H_2N_2 ვირუსით, რომელმაც აზიაში 1 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 1968 წელს ე.წ. ჰონგკონგის პანდემია, გამოწვეული H_3N_2 ვირუსით, რომლითაც 800 ათასი ადამიანი გარდაიცვალა.

არასოდეს ვიცით, როდის შემოგვიტევს ახალი ძალით გრიპის ვირუსი. თუმცა, როგორც წესი, საქართველოში, ისევე, როგორც ევროპისა და რუსეთის ტერიტორიაზე, დაავადების პიკი იანვარ-თებერვალშია.

— რა არის გრიპის პროფილაქტიკის ძირითადი მეთოდი?

— გრიპის ვირუსის გართულებებისაგან საუკეთესო დაცვა გახლავთ ვაქცინაცია, ანუ აცრა, რომელიც, წესით, ოქტომბერ-ნოემბერში უნდა ჩატარდეს, უპირველესად ე.წ. მაღალი რისკის ჯგუფებში (მცირე ასაკის ბავშვები, ხანდაზმული, ასაკოვანი ადამიანები).

პროფილაქტიკური ღონისძიებებია: დამცავი ნიღბების ტარება, ჰიგიენის წესების მკაცრი დაცვა (ხელების ხშირად დაბანა, ერთჯერადი ცხვირსახოცების გამოყენება), დაავადებისას სახლში მკურნალობა (სულ მცირე, 7 დღის განმავლობაში), ამასთან, ტემპერატურა 38,5^0 C-მდე ხშირად წარმოადგენს ორგანიზმის დაცვით რეაქციას და ის არ უნდა დავიგდოთ!

— მკურნალობის საწყის ეტაპზე რას გვირჩევთ?

— დასაწყისში ეფექტურია ანტივირუსული პრეპარატების (ინტერფერონის ჩაწვეთება ენაზე და ცხვირში) დანიშვნა, გამაუტკივარებელი და პირის ღრუს ანტისეპტიკური გამოსავლებები, დიდი რაოდენობით სითხის მიღება (საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზმის დეზინტოქსიკაციის მიზნით — ვენური გადასხმები), ლოგინში წოლა, სიმშვიდე, ოპტიმისტური განწყობა. იმუნიტეტის ასამაღლებლად: მრავალფეროვანი, რაციონალური კვება — ანტიოქსიდანტებით, თუთიით, C და E ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება (კვერცხი, ხორცი, ზღვის პროდუქტები, თხილეული, ციტრუსები, კომბოსტო, სტაფილო, ბულგარული წიწაკა, პომიდორი, ხახვი, ნიორი, კივი და ა.შ.).

განსაკუთრებით მინდა გამოვყო კერძი — ქათმის ბულიონი! — ეს საკვები კი არა, წამალია! მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ იგი შეიცავს ფოსფორს, მაგნიუმს, თუთიას, B ჯგუფის ვიტამინებს, ფერმენტ ლიზოციმს, ააქტიურებს სისხლის თეთრი ბურთულაკების — ლეიკოციტების მოძრაობას, ამდენად, აძლიერებს იმუნიტეტს, თრგუნავს ბაქტერიებისა და ვირუსების აქტიურობას, ათხელებს სისხლს.

— გარდა გრიპის ვირუსისა, პირის ღრუს ლორწოვანზე კიდევ რა დაავადებებმა შეიძლება იჩინოს თავი?

— ფორმულა —„ვირუსით პირველადი დაინფიცირება ნიშნავს, რომ დაინფიცირებული ხარ მთელი ცხოვრების განმავლობაში“ — მთლიანად ეხება **მარტივი ჰერპესის ვირუსს,** რომლის მატარებელი ზრდასრული მოსახლეობის 80%-ზე მეტია. ზიანდება ლოყის, ტუჩის, ენის, ღრძილის ლორწოვანი. ჰერპესული დაზიანების „საყვარელი“ ადგილია ტუჩის წითელი ყაეთანი და მიმდებარე კანი, ასევე ცხვირის ფრთა.

ვირუსული სტომატიტებიდან არცთუ იშვიათია **ინფექციური მონონუკლეოზის** გამოვლინება პირის ღრუში. უმეტესად ავადდებიან ბავშვები და ახალგაზრდები, ხანდაზმულებში პრაქტიკულად არ აღინიშნება. დაავადება უმეტესად ვითარდება შემოდგომასა და გაზაფხულზე. მისი გამომწვევია ეპშტეინ-ბარის ვირუსი, ვრცელდება აირწვეთოვანი გზით. პირის ღრუში ძირითადად ზიანდება ცხვირ-ხახა და ნაქი, ვითარდება კატარული ან წყლულოვან-ნეკროზული გინგივო-სტომატიტი, ენა იფარება მორუხო-თეთრი ნადებით. დაავადება იწყება მწვავედ, მაღალი ტემპერატურით, ყლაპვისა და მეტყველების გაძნელებით, ყბისქვეშა და კისრის უკანა ლიმფური კვანძების გადიდებით. ჰემოგრამაში აღინიშნება ლეიკოციტოზი, იზრდება ლიმფოციტებისა და მონოციტების რიცხვი.

— როგორ უნდა მოუაროს პაციენტმა პირის ღრუს გრიპის ვირუსის დროს?

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარიგებაა — არ უნდა შევწყვიტოთ კბილების ხეხვა! დღეში 3-ჯერ, მოზომილი ზეწოლით, რბილი ჯაგრისით, სამკურნალო პასტების გამოყენებით კბილების გამოხეხვა აუცილებელია. პირის ღრუში ვირუსული სტომატიტისთვის დამახასიათებელი მტკივნეული ეროზიებისა და წყლულების გაჩენისას სასურველია ექიმ-პაროდონტოლოგთან (პირის ღრუს ლორწოვანის სპეციალისტთან) ვიზიტი.

— გმადლობთ საუბრისთვის!

ესაუბრა
ᲘᲠᲘᲜᲐ ᲤᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲐ-ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲖᲐᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ISQua Membership
Advancing Patient Safety and Healthcare Quality Globally
UNION OF GEORGIAN MEDICAL ASSOCIATIONS

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ასოციაციების გაერთიანების მორიგ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გაერთიანება 2017 წლის მანძილზეც განახორციელებს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში შესული სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული კლინიკური შემთხვევების ექსპერტიზას.

სხდომაზე გაერთიანების წევრად მიღებულ იქნა საქართველოს ბირთვული მედიცინის ასოციაცია, ასევე განიხილეს გაერთიანების ეგიდით 2017 წელს საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციის ორგანიზების საკითხიც.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲝ, ᲛᲝᲐᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲗ ᲡᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲔᲑᲘ!

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ და განთლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით აუცილებლად დადგება იმ სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი, სადაც შესაძლებელი იყო სველი წერტილის მოწესრიგება და ეს არ მოხდა. მისი თქმით, გულდასაწყვეტია, რომ ბევრგან აუთვისებელი ბიუჯეტის პირობებში, საპირფარეშო მისახედია და კარი არ აქვს.

„ამ ეტაპზე ყველა მიმართულებით უნდა შევუტიოთ ჰიგიენის საკითხს. მათ შორის დირექტორებს ჩვენ ვთხოვეთ, რომ რა დონეზეც შესაძლებელია მათი არსებული ინფრასტრუქტურით მოწესრიგება, სისუფთავე იყოს. ეს ჩვენი დავალებაც არის, თხოვნაც და მოთხოვნაც. გასაგებია, რომ ძალიან კარგია სააქტო დარბაზი და ცეკვის სცენა, მაგრამ თუ ჩვენი ბავშვებისთვის ელემენტარული პირობები ვერ უზრუნველვყავით, უბრალოდ, აზრი არ აქვს. დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება“, — განაცხადა მინისტრმა.

◎ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ

ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ

ᲘᲜᲓᲣᲠ ალტერნატიულ მედიცინაში — აიურვედაში — ცხელი და ცივი საკვების ცნებები არსებობს. კერძოდ, ნათქვამია, რომ ცხელი კერძები ორგანიზმში ანთებითი პროცესების — გაციებიდან დაწყებული კიბოთი დამთავრებული! — პროვოცირებას ახდენენ, ცივები კი ამათ აღშობენ.

აიურვედა, ანუ „სიცოცხლის შესახებ მეცნიერება“ და მისი „ღვიძლი და“ — ტიბეტური მედიცინა, უნიკალურ მოდელებს წარმოადგენენ, რომლებიც თითოეული პაციენტისადმი ინდივიდუალურ (მათ შორის, კვების საკითხშიც) მიდგომას ითვალისწინებს.

ტიბეტური მედიცინის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ **სნეულებისგან განსაკურნებლად საკმარისია კვების ტიპის შეცვლა.** და პირიქით: კვების საკუთარი სისტემისგან გადახრას ორგანიზმში დისბალანსის გამოწვევა შეუძლია, რასაც ავადმყოფობის წარმოშობის საფრთხე შეიძლება მოყვეს. ამავე დროს საჭიროა გვახსოვდეს, რომ **ცხელი საკვები ყოველთვის სახიფათო არ არის — სიცივის ავადმყოფობების დროს ის მკურნალია, ცივი საკვები კი, პირიქით, სიცხის სნეულებებს კურნავს.**

ᲡᲘᲪᲮᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲐᲗ მიეკუთვნებათ ხანძართან შესადარი ავადმყოფობები, რომლებიც სწრაფად წარმოიშვებიან და კაცს მალევე კლავენ. საერთო სიმპტომებია: სხეულში სიცხის შეგრძნება, მწარე გემო პირში, უძილობა, ოფლიანობა, თავის ტკივილი, მომატებული წნევა, გულის ფრიალი, კანის ქავილი.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს: გულისა და სისხლძარღვთა დაავადებები, არტერიული წნევის ნახტომისებური ცვლილებები, ინფარქტები, ინსულტები, ღვიძლის ან ელენთის, ასევე ინფექციური დაავადებები, მუცლის მწვავე ტკივილები, პირღებინება და ფაღარათი.

ᲡᲘᲪᲘᲕᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲘᲡᲘᲜᲘ თანდათანობით, ნელა ვითარდებიან, რის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც გარეშე სიცივე, ასევე ცივი საკვების მიღება. საერთო სიმპტომებია: შემცივნება, სიფითრე, უგუნებობა, სისუსტე, ძილის მორევა და სუსტი, ყრუ ხმა.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს: ალერგია, ასთმა, თირკმლებისა და საშარდე სისტემის, ასევე სახსრების დაავადებები, ბრონქიტები და ათეროსკლეროზი, ნევრალგიები, ნევრიტები, იშიაზი, ონკოლოგია, შაქრის დიაბეტი.

ცხელი საჭმელებია: ცხარე, შემწვარი, მარილიანი, ცხელი, ცხვრის და ხბოს ხორცი, ნაღების კარაქი და ცხოველური წარმოშობის ცხიმები, სტაფილო, ადუღებული რძე, ხილი და ბოსტნეული, რომლებიც მიწის ზედაპირზე იზრდება (მათ შორის, ვაშლი, ყურძენი, ატამი, კომში, პომიდორი), გამთბობი სანელებლები და საკმაზები (ხახვი, ნიორი, დარიჩინი, პილპილი).

ცივი საჭმელებია: ხორცი (ღორისა და ქათმის), კარტოფილი, თევზი, მარცვლოვნები (ბრინჯი, ხორბალი, წიწიბურა), უმი რძე, ბოსტნეული, რომელიც მიწაში იზრდება (კარტოფილი, ჭარხალი, ბოლოკი, სტაფილო).

არაბულ შეგონებად: ენა — სულიერი ერთობის გვირგვინი

სკოლებში წყდებოდა ენისა და ერის ბედი. იქ მიმდინარეობდა სასიცოცხლო პროცესი. და ამიტომაც ანიჭებდა ჯიბრანიც მშობლიურ ენაზე აღზრდას გადამწყვეტ მნიშვნელობას. კლასიკური არაბული ენა თუ დაძლევდა სხვადასხვა დიალექტს და გააერთიანებდა მათ? დიალექტი იცვლებოდა, იხვეწებოდა, რბილდებოდა, მაგრამ დაძლეული არ იყო და... არც უნდა დაძლეულიყო, რადგან მისგან იღებდა სათავეს ლიტერატურული მჭევრმეტყველება.

— **რა** არის საუკეთესო საშუალება არაბული ენის გამოსაცოცხლებლად? — ამ შეკითხვას რომ წამოჭრიდა ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, პასუხსაც უმალვე მოადევნებდა:

საუკეთესო და ერთადერთი საშუალება პოეტის გულშია, მის ბაგესა და თითებზეო.

და ეს იმიტომ, რომ მართლაც პოეტია შუამავალი შემოქმედების ძალასა და კაცობრიობას შორის, სულისმიერ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს გონების სამყაროს რომ გადასცემს, ფიქრის სამყაროს გადაწყვეტილებებს კი აცნობს იმ სამყაროს, რომელიც ინახავს და იმახსოვრებს მათ.

ვინ არის პოეტი ენისათვის?

მამაც და დედაც, ენა მას რომ მიჰყვება და მასთან ერთად ჩერდება.

და როდესაც პოეტი კვდება?

მაშინ... მაშინ ენა მის საფლავთან ჩამოჯდება მტირალი და ელის მოსვლას სხვა პოეტისა, კვლავ რომ ჩაჰკიდებს მას ხელს.

და ჯიბრანი მიმბაძველს წაუქიმუნჯებდა: თუ პოეტი დედ-მამაა ენისა, მაშინ მიმბაძველი მესაფლავე და მქსოველია მისი სუდარისაო.

პოეტში გულისხმობდა ყველა შემოქმედს — დიდსა თუ პატარას, ყველა აღმომჩენს — ძლიერსა თუ სუსტს, ყველა გამომგონებელს — დიდებულსა თუ უმნიშვნელოს, უბრალო ცხოვრების ყველა მოყვარულს — მეფესა თუ მათხოვარს, ყველას, ვინც მოწიწებით ეპყრობა დროს — ფილოსოფოსსა თუ ვენახის გუშაგს.

მიმბაძველში კი ყველა იმათ, ვინც არც აღმომჩენი გახლდათ და არც გამომგონებელი, სულიერ ცხოვრებას თანამედროვეთაგან რომ იღებდნენ და სულიერ ტანსაცმელს წინაპართაგან მორჩენილი ნაჭრებით იკერავდნენ.

და საერთოდაც პოეტისა და მიმბაძველის შედარებით დაპირისპირებაზე ააგებდა ფინალურ მონაკვეთს ესეისა „არაბული ენის მომავალი“, რაც ამჯერად იმ მხრივ უფროა საგულისხმო ჩვენთვის, ამ მომავლის განმსაზღვრელ ნიშნებს რომ ჩამოთვლიდა, ანალიტიკურადაც გაიაზრებდა და შესაფერისადაც განაზოგადებდა, ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომად კი ნინო სურმავა აქცევდა, ჩვენი ერისა და ენის ბედისწერას კიდევ ერთხელ რომ დავუკვირდებოდით ჯიბრანისეული გადასახედიდან.

ესეის სათაური უშუალოდ უბიძგებდა ლიბანელ მწერალს, მშობლიური ენის მომავალს ამთავითვე ჩაფიქრებოდა, დამოკიდებული რომ იყო მასზე მოსაუბრე ყველა ერის არსებულ ან ჯერ არარსებულ შემოქმედებით აზროვნებაზე. თუკი ეს აზროვნება იარსებებდა, არაბული ენის მომავალიც ისეთივე დიდებული იქნებოდა, როგორიც წარსული ჰქონდა, თუ არადა... მოძმე სირიულ და ებრაულ ენათა ბედს გაიზიარებდა.

ენას განსაზღვრავდა როგორც ყველა ერის შემოქმედების ან მისი ზოგადი არსის ერთ-ერთ გამოვლინებად. და თუკი შემოქმედებითი ძალა სუსტდებოდა, მაშინ რა გასაკვირია, რომ ენის განვითარებაც ჩერდებოდა. შეჩერება რეგრესს ნიშნავდა, რეგრესი კი — სიკვდილსა და გაქრობას.

მაინც რა არის ის ძალა, რომელსაც შემოქმედების ძალას ვუწოდებთ?

რა და:

წინ რომ უბიძგებდა ერს.

მეტაფორული ახსნა უჯობდა?

და კიდეც შემოგვთავაზებდა იმგვარ განმარტებას: ეს მისი გულის შიმშილია, წყურვილი და უცნობისაკენ ლტოლვა, მის სულში ოცნებათა ჯაჭვი, რომელიც დღედაღამ ისწრაფვის ამ ოცნებათა ახდენისაკენ, მაგრამ როგორც კი ოცნებათა ერთ რიგს ხორცს შეასხამს, ცხოვრება მას მეორე მხრიდან ახალ ოცნებათა წრეს უმატებსო.

პიროვნებაში ეს ძალა ნიჭის სახით მჟღავნდებოდა.

საზოგადოებაში — ენთუზიაზმის.

და პიროვნული ტალანტი კი სხვა არა არის რა, თუ არა უნარი — მიანიჭოს საზოგადოების ფარულ მისწრაფებებს ნათელი, ცხადი გამოვლინება!..

არაბული ენის მდინარებას რომ მიადევნებდა მზერას ისლამამდელი ხანიდან მოკიდებული თანადროულობამდე, მიიჩნევდა, რომ პოსტკლასიკურ ეპოქაში ის განშტოვდებოდა, რადგანაც ისლამური ერი დაიყოფოდა. პოეტი თანდათან განაგრძობდა წინსვლას, ამაღლებას, ნაირსახოვანი გახდებოდა, ხან ფილოსოფოსად მოგვევლინებოდა, ხან ექიმად და ხანაც ასტრონომად.

და ასე გაგრძელდებოდა მანამ, სანამ არაბული ენის შემოქმედების ძალა ჩათვლემდა და მიიძინებდა.

და პოეტები გადაიქცეოდნენ მელექსეებად, ფილოსოფოსები — ღვთისმეტყველებად, ექიმები — შარლატანებად და ასტრონომები — ასტროლოგებად.

ასე რომ:

ჯიბრანს ეიმედებოდა არაბულად მოსაუბრე ყველა ერის შემოქმედების ძალისა, მათი მთავარი არსისა და სულიერი ერთობისა, შემოქმედების ძალას რომ გამოაღვიძებდა ხანგრძლივი ძილის შემდგომ.

როგორი შეიძლება ყოფილიყო ევროპული ცივილიზაციისა და დასავლური სულის გავლენა არაბულ ენაზე?

ამ გავლენას ესეის ავტორი მიამგვანებდა რაღაც საკვებს, რომელსაც ენა იღებდა, ღეჭავდა, ყლაპავდა და ითვისებდა მხოლოდ სასარგებლოს, აუცილებელს მისი არსებობისათვის — როგორც ხე ეწაფება სინათლეს, წყალსა და ნიადაგს, რათა გამოისხას ტოტი, ფოთოლი, ყვავილი და ნაყოფი.

მაგრამ... თუ ენას არ გააჩნდა კბილები, რითაც საკვებს დააღუცმაცებდა, და კუჭი, რითაც შეითვისებდა მას, მაშინ რაღა ხეირი ეყარა ამ საკვებში?!.

ის კი არა, სულაც მომაკვდინებელ შხამად შეიძლება გადაქცეულიყო.

როდესაც აღმოსავლეთი წინ მიიწევდა და დასავლელი ერები უკან რჩებოდნენ, აღმოსავლურ ცივილიზაციას კიდეც ჰქონდა უზარმაზარი გავლენა მათ ენებზე, მაგრამ შემდეგ დასავლეთი რომ გაიჭრებოდა წინ და აღმოსავლეთი ჩამორჩებოდა, მათი ცივილიზაცია, ბუნებრივია, დიდ გავლენას მოახდენდა თუნდ არაბულ ენაზე, აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე.

ადრე დასავლელები რომ მიირთმევდნენ იმ საკვებს, რომელსაც აღმოსავლეთი ამზადებდა, ღეჭავდნენ, ყლაპავდნენ და... ითვისებდნენ მარტოდენ იმ სასარგებლოს, რაც თავიანთი დასავლური აზროვნებისათვის სჭირდებოდათ.

ახლა უკვე აღმოსავლელები მიირთმევდნენ და ყლაპავდნენ დასავლელთა მიერ მომზადებულს, მაგრამ... ვაი, რომ ეს „მაგრამ“!..

განა მხოლოდ მათთვის სასარგებლოს ითვისებდნენ, არამედ ყველაფერს იღებდნენ განურჩევლად და... ამით დასავლეთის ხალხს ემსგავსებოდნენ.

აი სწორედ ეს აშინებდა და აღელვებდა ჯიბრანსაც, აღმოსავლეთი ხან უკბილო დედაბრად რომ ეჩვენებოდა და ხანაც ჩვილად, რომელსაც კბილები ჯერ არ ამოეჭრა.

ამრიგად, დასავლური სული მის თვალთახედვაში მეგობრადაც წარმოდგებოდა და მტრადაც. მეგობარი იქნებოდა, თუკი მოღონიერებაში შეეწეოდათ, და მტერი — თუ აღმოსავლეთით თვითონ მოღონიერდებოდა... მეგობარი იქნებოდა, თუ გულს გაუხსნიდი, და მტერი — თუ გულს მიანდობდი...

როგორი გავლენა ექნებოდა პოლიტიკურ პროცესებს არაბულ ქვეყნებზე?

მწერალნი თუ მოაზროვნენი აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც თანხმდებოდნენ, რომ არაბული ქვეყნები სულიერად, ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად სრულ უწესრიგობაში იმყოფებოდნენ, უმრავლესობა კი ამ უწესრიგობას ერთხმად აღიარებდა ნგრევისა და დაცემის მიზეზად.

ჯიბრანი კი იკითხავდა: ეს უწესრიგობაა თუ დაღლილობაო?

უწესრიგობას სასარგებლოდაც კი მიიჩნევდა, რადგან ის ავლენდა ერის სულში დაფარულს, სიმთვრალეს სიფხიზლით ცვლიდა, უგონობას — მღვიძარებით. უწესრიგობას ქარიშხალს მიამგვანებდა, მთელი ძალით რომ შეარხევს ხეს, მაგრამ ფესვებიანად კი არ გლეჯს, არამედ გამხმარ ტოტებს შეატეხს და ყვითელ ფოთლებს აშორებს.

— ყოველთვის, როცა ქაოსი მოიცავს ერს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ბუნებრიობა, ეს ყველაზე ცხადი მაჩვენებელია ხოლმე მის ინდივიდებში შემოქმედებითი ძალის არსებობისა და საზოგადოების მზადყოფნისა.

აი დაღლილობა კი...

დაღლილობა ყოველი ერის დასასრულს, სიკვდილს მოასწავებდა.

ამრიგად:

პოლიტიკური პროცესების გავლენა ქაოსს არაბულ ქვეყნებში წესრიგად გადააქცევდა, საშინაო უთანხმოებას — ერთსულოვნებად, მაგრამ ის ვერ შეცვლიდა დაღლილობას შემართებით, მოდუნებას — ენთუზიაზმით.

მეთუნისა არ იყოს — ღვინისა ან ძმრის ხელადის დამზადება თიხისაგან რომ შეუძლია, მაგრამ ვერას შექმნის ქვიშისა და კენჭებისაგან.

საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არაბულ ენაზე ისწავლებოდა ყველა მეცნიერება?

არა! — და არაბული ვერც გახდებოდა ყველა მეცნიერების შესწავლის ენა, ვიდრე სკოლები საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან, კონფესიური კომიტეტებიდან და რელიგიური მისიებიდან არ გადაინაცვლებდნენ ადგილობრივ მთავრობათა ხელში.

დასავლეთის ქვეყნები რომ ცდილობდნენ თავიანთი განათლება მოეხვიათ თავს არაბებისათვის და ამით მათი პოლიტიკური სიმპათიებიც გამოეწვიათ, ჯიბრანი ატყობდა, რომ ისინი ერთ ქვას დებდნენ ასაშენებლად და... ამასობაში კი მთელ კედელს უნგრევდნენ, ერთ ყვავილს ახარებდნენ და... მთელ ტყეს ჩეხავდნენ, ერთი დღით აცოცხლებდნენ და... მთელი საუკუნით კლავდნენ!..

აუცილებელი გახლდათ მოწყალების პური საკუთარ სახლში გამომცხვარი პურით შეცვლილიყო!..

მათხოვარი გაღებულ მოწყალებას უნდა დასჯერებოდა, ნაჩუქარ ცხენს კი კბილი არ გაესინჯებოდა, რადგან მას არ ჰქონდა არჩევანის უფლება, აი მოწყალების გამცემი კი თავისუფალი ნებით გამოირჩეოდა!..

სკოლებში წყდებოდა ენისა და ერის ბედი.

იქ მიმდინარეობდა სასიცოცხლო პროცესი.

და ამიტომაც ანიჭებდა ჯიბრანიც მშობლიურ ენაზე აღზრდას გადამწყვეტ მნიშვნელობას.

კლასიკური არაბული ენა თუ დაძლევდა სხვადასხვა დიალექტს და გააერთიანებდა მათ?

დიალექტი იცვლებოდა, იხვეწებოდა, რბილდებოდა, მაგრამ დაძლეული არ იყო და... არც უნდა დაძლეულიყო, რადგან ის ყველაზე ახლოს იდგა ერის იდეასა და მისი ზოგადი არსის მისწრაფებებთან. გადარჩენა ნიშნავდა მის შეზრდას ერის სხეულთან და ამ სხეულის განუყოფელ ნაწილად ქცევას.

და კიდევ:

დასავლეთის ყველა ენას მოეპოვებოდა დიალექტი, რომელსაც მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი თვისებები ამშვენებდა — სასურველი სილამაზე და შემოქმედებითი სიახლე. და ამიტომაც ევროპასა და ამერიკაში არაერთი ნიჭიერი პოეტი ერთნაირი წარმატებით ქმნიდა ხალხურ და ლიტერატურულ ენებზე მჭევრმეტყველურ, მღელვარე ლექსებსა და პოემებს.

აგერ თანამედროვე იტალიური ენა შუა საუკუნეებში დიალექტი იყო და დიდგვაროვანნი მას ბარბაროსთა ენასაც უწოდებდნენ, მაგრამ როდესაც მასზე უკვდავ ლექსებსა და პოემებს შექმნიდნენ დანტე ალიგიერი და ორი ფრანჩესკო — პეტრარკა და ასიზელი, იტალიური სალიტერატურო ენად გარდაისახებოდა, ლათინური კი — ჩონჩხად, რომელიც სამარისაკენ დაექანებოდა.

ახლო აღმოსავლეთშიც ვინმე გენიოსი რომ გამოჩენილიყო და დიდებული წიგნი დაეწერა ერთ-ერთ დიალექტზე, ეს დიალექტი სალიტერატურო ენად გადაიქცეოდა. თუმცა არაბული ქვეყნებისათვის ჯიბრანს ეს შეუძლებლად მიაჩნდა: აღმოსავლელებს წარსულისაკენ უფრო აქვთ საოცარი მიდრეკილება, ვიდრე აწმყოსა და მომავლისაკენო.

ხელი მეცმადუნება, ეს დაკვირვებანი ქართულ სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების ურთიერთობასაც შევუდარო და დიალექტებზე შექმნილ პოეტურ მონაპოვარსაც, მაგრამ ეს თემა იმდენად ღრმაა და მრავალშრიანი, რომ მხოლოდ საგანგებოდ თუ შევისწავლით და გავიაზრებთ მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით.

ესეის სიუჟეტურ ქარგაში კი ამის შემდეგაა, არაბული ენის საუკეთესო და ერთადერთ საშუალებად პოეტის გული რომ არის მიჩნეული, მისი ბაგე და თითები, და გაშიშვლებულია მიმბაძველობის დამთრგუნველი არსი, რათა „არაბული ენის მომავალი“ ამ მტკიცებით შეიკრას:

არაბული ენისათვის უკეთესია, ააგო უბადრუკი ქოხი თქვენივე თანდაყოლილი, ბუნებრივი არსით, ვიდრე ნასესხებით ააშენოთ დიდებული სასახლეო.

დაე ეროვნული სიმამაცით ასახულიყო აღმოსავლური ცხოვრება თავისი განსაცვიფრებელი ჭირ-ვარამითა და ლხინით!..

არაბული ენისათვის ხომ სჯობდა, რომ საკუთარი გარემოდან აეღოთ მწერლებს ყველაზე უბრალო ამბები და შეემოსათ ფანტაზიით, ვიდრე დასავლელთა მიერ დაწერილი ყველაზე ლამაზი და დიდებული რამ გადმოეღოთ.

თუ ვინმეს დაეჯერება, მათ შორის უთუოდ ჯიბრან ხალილ ჯიბრანსაც, მითუფრო, რომ საკუთარ თავზე ჰქონდა ნაწვნევი ორენოვნების ტრაგედია!..

როსტომ ჩხეიძე

საქართველოს არც ევროკავშირის წევრობაში აქვს პერსპექტივა, თუმცა, იქაური რეფორმები ქებას იმსახურებს

გერმანული საზოგადოებრივი ტელემაუწყებლის „MDR – MITTELDEUTSCHE RUNDFUNK“-ის ეთერში ჟურნალისტ ალექსანდრ ჰერტელის სიუჟეტი გადაიცა, რომელიც საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მონიჭების საკითხს ეხება.

მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა 2016 წლის 8 დეკემბერს საქართველოს (და უკრაინის) მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზების პროცესი დაიწყო, საკმაო დრო გავიდა და აი, დადგა მნიშვნელოვანი მომენტი: ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხების კომიტეტმაც 12 იანვარს ამ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

„შეჩერების მექანიზმი“: საკითხის არსი

სავიზო რეჟიმის გაუქმება ფაქტობრივად 2016 წლის მაისიდან უკვე გადაწყვეტილი იყო, ექსპერტები მხოლოდ პროცესის ცალკეულ დეტალებზე საუბრობდნენ. შემდეგ ამას დაემატა ე.წ. „შეჩერების მექანიზმის“ შემუშავება, რომლის თანახმად, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მოქალაქეები მასობრივად დაარღვევდნენ მასპინძელ სახელმწიფოში ყოფნის ვადებს, ანდა საგრძნობლად გაიზრდებოდა საქართველოს (ან უკრაინის) მოქალაქეთა მხრიდან თავშესაფრის მიღების მსურველთა რიცხვი, მაშინ ასეთ სიტუაციაში შეიძლებოდა უვიზო რეჟიმი დროებით შეჩერებულიყო, ან საერთოდ გაუქმებულიყო კიდეც.

საქართველოს გრძელი გზა უვიზო რეჟიმისაკენ

ვიზალიბერალიზებას წინ საკმაოდ გრძელი ისტორია უძღოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი და გაუბედურებული ქვეყანა გახლდათ. პოლიტიკურ სისტემაში ყვაოდა კორუფცია, ქუჩაში კი შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ. ქვეყანას მართავდნენ არა სახელმწიფო ორგანოები, არამედ მაფიოზები – ორგანიზებული დამნაშავეობის წარმომადგენლები. 2003 წლის შემოდგომაზე საქართველოში ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, რომლის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ახალგაზრდა პროდასავლელი პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი. მალე იგი პრეზიდენტად იქნა არჩეული. მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლიდან რადიკალური რეფორმების პროგრამა განახორციელა. მან კორუფციის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა დაიწყო და წინ ორი მთავარი მიზნის მიღწევა დაისახა: საქართველოს გაწევრება ნატოსა და ევროკავშირში.

მრავალწლიანი ამბიციები

თბილისის ამბიციურ მიზნებს ბრიუსელში თავდაპირველად საკმაოდ კეთილგანწყობით შეხვდნენ: საქართველო 2009 წლიდან „აღმოსავლური პარტნიორის“ წევრი გახდა, 2014 წლიდან კი – ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის ზონის მონაწილე, რომელიც ხელი მოეწერა შეთანხმებას ასოცირების თაობაზე. ეს შეთანხმება საქართველოსთვის (ასევე მოლდოვასა და უკრაინისათვის) ევროკავშირში შესასვლელად პირველი საფეხური უნდა ყოფილიყო.

EU-GEORGIA

მაგრამ შემდგომ წლებში მომხდარმა მოვლენებმა – კიევის მაიდანმა, ყირიმის ანექსიამ და დონბასში განვითარებლმა კონფლიქტმა უკრაინის პერსპექტივა მნიშვნელოვნად შეამცირა, რამაც, თავის მხრივ გავლენა მოახდინა ევროკავშირის პოლიტიკაზე – ბრიუსელმა შედარებით უფრო „თავდაცვითი პოზიცია“ დაიკავა ევროკავშირში ინტეგრირების საკითხში. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოსთვის ასოცირების შეთანხმება მთლიანად ძალაში 2016 წელს მაინც შევიდა, მასთან ერთად წინ წაიწია ვიზალიბერალიზების საკითხმაც, რომლის რეალიზება იმავე 2016 წლის მაისიდან დაიგეგმა.

ბავარია ქართველებისთვის უვიზო რეჟიმის წინააღმდეგ

უკვე არსებობდა ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმის შემოღებისათვის, რომ უკანასკნელ წუთს ევროსაბჭომ პროექტი შეაჩერა: საქმე იმაშია, რომ მოულოდნელად ბავარია საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდა. იქაურმა შინაგან საქმეთა მინისტრმა იოახიმ ჰერმანმა (ქრისტიანულ-სოციალური კავშირი) ეჭვქვეშ დააყენა ქართველებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხი, რადგან ბავარიაში და, საერთოდ, გერმანიაში მკვეთრად იმატა საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილმა ქურდობა-ძარცვის ფაქტებმა, რაც, სხვათა შორის, სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდებოდა.

რასაკვირველია, თბილისმა ბავარიელი მინისტრის პროტესტი საჯაროდ უარყო, მაგრამ ვიზალიბერალიზების პროცესი შეჩერდა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ იოახიმ ჰერმანის პოზიცია და მის მიერ დამოწმებული სტატისტიკური მონაცემები თბილისმა სადავოდ მიიჩნია, გერმანიაში მაინც რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელმაც ადგილობრივ კოლეგებთან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის გეგმა შეათანხმა.

იმედგაცრუება და უპერსპექტივობა?

გერმანიის პოზიციამ საქართველოში გაკვირვება და იმედგაცრუება გამოიწვია – გაისმოდა ხმები, რომ ევროკავშირმა თურქეთთან სავიზო უთანხმოებას გამო საქართველოც ზედ მიაყოლაო. ამას ისიც დაემატა, რომ ბრიუსელმა თბილისს, ფაქტობრივად, უარი განუცხადა საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრებაზე, რუსეთის ფედერაციის ნეგატიური დამოკიდებულების გათვალისწინებით. შესაბამისად, დღეს არც პირველი და არც მეორე საკითხი (ევროკავშირსა და ნატოში გაწევრება) უკვე აღარ განიხილება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დოქტრინის მიხედვით, ნატოში ვერცერთი ისეთი სახელმწიფო ვერ გაწევრდება, რომელსაც სასაზღვრო-ტერიტორიული კონფლიქტები აქვს. სეპარატისტული აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გათვალისწინებით, რომლებიც დიდი ხანია, მიმდინარეობს, საქართველოს ნატოში მიღების ვარიანტი არ არსებობს.

ოფიციალურ თბილისს არც ევროკავშირის წევრობის საკითხშიც არ აქვს პერსპექტივა. მართალია, საქართველოში განხორციელებული რეფორმები ქებას იმსახურებს, მაგრამ ბრიუსელელი დიპლომატები გაწევრების საკითხზე საუბრისაგან თავს იკავებენ და უფრო მეტად აქცენტს ერთობლივ გრძელვადიან თანამშრომლობაზე აკეთებენ. გარდა ამისა, გაწევრებისთვის ხელშემშლელ მიზეზებად შეიძლება დასახელდეს საქართველოს არაკონკურენტუნარიანი ეკონომიკა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. თუმცა თბილისს საკითხის გადადება არ აშინებს: პარლამენტის წინ დიდი ხანია, ევროკავშირის დროშები ფრიალებენ.

ალექსანდრ ჰერტელი.
„MDR“ (გერმანია)

P. S. Mitteldeutsche Rundfunk – გერმანული საზოგადოებრივი ტელერადიოსამაუწყებლო კომპანია, რომელსაც ნაწილობრივ სახელმწიფო აფინანსებს. დაარსებულია 1924 წელს, ცენტრალური ოფისი – ქალაქ ლეიპციგში.

მაინც, რას უნდა ველოდოთ ტრამპის მოახლოებული მმართველობისგან?

20 იანვარს, აშშ-ის რიგით 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით ბაქრაძე წარადგენს. თბილისში არ მალავენ: დიპლომატიური მისიის ახალ ხელმძღვანელს უახლოეს წლებში რთული ამოცანის გადაჭრა ელის – ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების ახალ რეალობაში საქართველოს „დახურდავება“ არ დაუშვას.

კვირაზე ოდნავ მეტი დრო რჩება იმ მომენტამდე, როდესაც თეთრ სახლს ახალი მეპატრონე ეყოლება. დონალდ ტრამპი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისადმი საკმაოდ მეგობრული გამონათქვამებით თბილისში წინააღმდეგობრივ გრძნობებს იწვევს. **საზოგადოების ნაწილი შიშობს, რომ ამერიკის რიგით 45-ე ლიდერი რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების საფასურად საქართველოს დათმობს.**

ამ ეჭვების გაფანტვას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით ზალკალიანთან** ხანმოკლე საუბრისას აშშ-ის სახლმწიფო მდივანი **ჯონ ქერი** შეეცადა, რომლის თვითმფრინავმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში „ტექნიკური დაშვება“ განახორციელა.

როგორც შემდგომში ჟურნალისტებს დავით ზალკალიანმა უამბო, ქერიმ განაცხადა, რომ **ახალი ადმინისტრაციის მოსვლით არაფერი შეიცვლება,** ვაშინგტონი კვლავაც იხელმძღვანელებს საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ძირითადი დებულებებით და კვლავინდებურად გააგრძელებს ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას: **„თუ ისტორიას გადავხედავთ, აშშ-ის ყოველი ახალი ადმინისტრაცია მმართველობის დასაწყისში რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის პოლიტიკას აცხადებდა. ბუნებრივია, მსხვილ გეოპოლიტიკურ აქტორებს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები აქვთ და სურთ, ეს ურთიერთობები ნორმალურ, ცივილიზებულ ჩარჩოებში იყოს მოქცეული. ის, რომ აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობების გადახედვის სურვილს გამოთქვამს, ადასტურებს, რომ ამჟამად ეს ურთიერთობები ცივილიზებულ ფორმატში არ არის. და ზედმეტია იმის თქმა, ვისი ბრალეულობით არის ეს ასე. საერთაშორისო თანამეგობრობამ მშვენივრად იცის, რომ რუსეთი საქართველოსა და სხვა ქვეყნებთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს, ამდენად, ვფიქრობ, ეს ბუნებრივი პროცესია და აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია ეცდება, დაარწმუნოს რუსეთის ფედერაცია, რომ აუცილებელია ცივილიზებული ურთიერთობების მშენებლობა საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით. ვფიქრობ, სწორედ ეს აქვს მხედველობაში ახალ ადმინისტრაციას“.**

რამდენად წარმატებული იქნება ისინი, მალე ვნახავთ, – აღნიშნავს ზალკალიანი. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ასევე დიდად აიმედებს აშშ-ის სახელმწიფო მდივნობის კანდიდატ რექს ტილერსონის სიტყვები. სენატორების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ამ უკანასკნელმა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია ახსენა. ზალკალიანის აზრით, ეს იმის იმედს იძლევა, რომ **აშშ-ის ახალი ადმინისტრაციისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი კვლავინდებურად ხელშეუხებელი იქნება.**

თუმცა საექსპერტო წრეებში თვლიან, რომ **თბილისი მხოლოდ ისტორიისა და ურთიერთობების ტრადიციების იმედზე არ უნდა იყოს და აუცილებელია მაქსიმალური ძალისხმევა, რათა ვაშინგტონს რეგიონული პრობლემების მივიწყების შესაძლებლლობა არ მიეცეს. რაც ნაკლებად იქნება ჩართული აშშ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, მით მეტად გაიზრდება იმის ალბათობა, რომ მოსკოვი ვაჭრობის შედეგად აშშ-ს პოსტსაბჭოთა სივრცეს დაათმობინებს,** – თვლის პოლიტოლოგი **ლევან ცუცქირიძე.**

თუმცა აშშ-ის პოლიტიკას მხოლოდ პრეზიდენტი არ განსაზღვრავს. ტრამპის თანაპარტიელები კონგრესში და უპირველესად სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ კოლეგებთან ერთად საქართველოს სტუმრობდა, სრულად უჭერენ მხარს აშშ-ის მეტ წარმოდგენილობას საქართველოში და ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას.

ამგვარად, ვაშინგტონისგან თბილისის შემდგომ მხარდაჭერაზე უარის თქმას ნაკლებად უნდა ველოდოთ, თუმცა არც ყურადღების მოდუნება გვმართებს, – თვლის პოლიტოლოგი **კორნელი კაკაჩია: საქართველოს საკმაოდ ბევრი სუსტი წერტილი აქვს, რომელზეც მოსკოვს მიჭერის შესაძლებლობა ეძლევა. ამის ერთ-ერთი მაგალითი, ექსპერტების შეფასებით, რუსულ „გაზპრომთან“ ახალი შეთანხმებაა. თბილისი მაინც წავიდა იმ სატრანზიტო კონტრაქტის გაფორმებაზე, რომელიც მისთვის სრულიად არახელსაყრელია. რატომ? – მთლად გასაგები არ არის. ასე, რომ მოსკოვმა დაამტკიცა: მას ბევრი შესაძლებლობა აქვს, თბილისს „ხელები გადაუგრიხოს“. და ეს შესაძლებლობები მხოლოდ გაიზრდება, თუ ტრამპი ან მისი ადმინისტრაცია სამხრეთ კავკასიასა და საკუთრივ საქართველოზე აშშ-ის გავლენას შეამცირებენ.**

„ეხო კავკაზა“

მსოფლიოს ამბები

უკრაინამ ჰააგაში უჩივლა

უკრაინამ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. კიევი მოსკოვს ტერორისტული აქტების ჩადენასა და რასობრივ დისკრიმინაციაში ადანაშაულებს. ჰააგაში სარჩელის შეტანის ინიციატორი პრეზიდენტი პოროშენკო იყო, რომელმაც შესაბამისი პროცედურების შესრულება საგარეო უწყებას დაავალა.

ლე პენი ყირიმს რუსეთის ნაწილად აღიარებს

საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ყირიმს რუსეთის შემადგენელ ნაწილად აღიარებს. ამის შესახებ მარინ ლე პენმა გამოცემა „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ყირიმის ნახევარკუნძული უკრაინული არასდროს ყოფილა. საბჭოთა პერიოდში ეს ადმინისტრაციული საკითხი იყო. ახლახან ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებით, ყირიმის მცხოვრებლებმა ხმა რუსეთთან მიერთებას მისცეს. მათ ნებას ჩვენ პატივი უნდა ვცეთ, — აღნიშნა ლე პენმა.

ავსტრალიაში თაგვები მომრავლდნენ

თაგვების პოპულაცია ავსტრალიელ ფერმერებს სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენებს. ამ დასკვნამდე ადგილობრივ მეცნიერთა ჯგუფი მივიდა. მათი მტკიცებით, გაზაფხულის ხანგრძლივმა წვიმებმა და მოსავლის რეკორდულმა რაოდენობამ მღრღნელების გასამრავლებლად იდეალური პირობები შექმნა. თაგვების პოპულაცია წელს შესაძლოა რეკორდულ მაჩვენებლამდე გაიზარდოს და ჰექტარზე ათას ცალს მიაღწიოს. განსაკუთრებულ პრობლემებს თაგვების მომრავლება ვიქტორიისა და სამხრეთ ავსტრალიის შტატებს უქმნის, რომლებზეც სოფლის მეურნეობის პროდუქტის 40 პროცენტი მოდის.

ჯორჯ მაიკლი, სავარაუდოდ, ნარკოტიკებმა იმსხვერპლა

ჯორჯ მაიკლის ბიძაშვილი ირწმუნება, რომ მომღერალი ნარკოტიკებმა იმსხვერპლა.

„მძიმე ნარკოტიკები დაბრუნდა მის ცხოვრებაში. ის ადრეც იყო ნარკოდამოკიდებული. ძირითადად კოკაინს მოიხმარდა. ვფიქრობ, გადაჭარბებული დოზა მიიღო ანტიდეპრესანტებთან ერთად. რაც შეეხება ჰეროინს, ეს ერთადერთი ნარკოტიკი იყო, რომელიც მაიკლს არასდროს გაუსინჯავს. მე არც იმის მჯერა, რომ ეს სუიციდი იყო,“ — აცხადებს ანდროს გიორგიუ. ჯორჯ მაიკლი 25 დეკემბერს 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. მომღერალს გული გაუჩერდა.

ბოლო ასტრონავტი, ვინც მთვარეზე იმყოფებოდა, გარდაიცვალა

აშშ-ში 83 წლის ასაკში ცნობილი ასტრონავტი იუჯინ სერნანი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი ხანგრძლივი ავადმყოფობა გახდა. იუჯინი კოსმოსურ ვოიაჟში 3-ჯერ იმყოფებოდა. მან მთვარეზე მისია 2-ჯერ შეასრულა.



◎ კლასიკური მუსიკა

«ტრავიატა» საოპერო ზეიმად გადაიქცევა!

25 **იანვარს** 19 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში (სამხატვრო ხელმძღვანელი — **ირინე ლომინაძე**) წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის შედევრი, მისი ერთ-ერთი ყველაზე სულისშემძვრელი და პოეტური ქმნილება ოპერა „ტრავიატა“. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული სპექტაკლის პრემიერა, რომელზეც იმუშავა არაერთგზის ნაცადმა, წარმატებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა დირიჟორ **რევაზ ჯავახიშვილის,** რეჟისორ **მაია გაჩეჩილაძის,** მხატვარ **თემურ არსენიძისა** და ქორეოგრაფ **ვახტანგ უშვერიძის** შემადგენლობით, შარშან ოქტომბერში დიდი წარმატებით გაიმართა. პრემიერის შემდეგ ეს პირველი წარმოდგენა იქნება.

„ტრავიატას“ ამ წარმოდგენაში მთავარ როლებს შეასრულებენ საერთაშორისო აღიარების მქონე ახალგაზრდა ქართველი მომღერლები: **მარიკა მაჩიტიძე** (ვიოლეტა ვალერი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი), **ირაკლი კახიძე** (ალფრედ ჟერმონი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სოლისტი), **ნიკოლოზ ლაგვილავა** (ჟორჟ ჟერმონი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი), — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამივე მათგანი აღნიშნული როლების საუკეთესო შემსრულებლად ითვლება, რაც არგუმენტირებულად გვაფიქრებინებს, რომ სპექტაკლი ჭეშმარიტ საოპერო ზეიმად გადაიქცევა. მათ პარტნიორობას გაუწევენ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები: **ნუცა ზაქაიძე** (ფლორა ბერვუა), **მარიეტა მაჩალაძე** (ანინა), **იოსებ კიწმარიშვილი** (გასტონი), **კალისტრატე ხარჩილავა** (ბარონი დიუფონი), **ემილ ჩარგაზია** (მარკიზი დ'ობინი), **ბესიკ ბასილაძე** (ექიმი გრენვილი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი **ნათია გოგუაძე**), ორკესტრი და ქორეოგრაფიული დასი. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი** წარუძღვება.

ეწვიეთ ქუთაისის ოპერის თეატრს და ისიამოვნეთ ვერდის ოპერით „ტრავიატა“.

ზურაბ ოიკაშვილი.
ქუთაისი.

ნიკოლოზ ლაგვილავა

მარიკა მაჩიტიძე

ირაკლი კახიძე

სათრევლები

იურისტებისა და პარტიების მომრავლებაზე

დილემა

ერთხანს ფულის შოვნის წყაროდ
ბენზინი და ნავთი აქეს,
მერე ბევრი უმოწყალოდ
შეესია აფთიაქებს.
ზოგმა კიდევ,
ექიმობა
— ჯიბეგამოქექილობას,
ამჯობინა ვექილობა.
თანაც ვინც თვლის,
რომ სჯობს თვისტომს,
სხვა სფეროშიც იურისტობს.

* * *

აღარა გვაქვს თვალზე ბისტი
უსაფუძვლო ანაჩემის,
დღეს მეტი გვყავს იურისტი,
ვიდრე ხალხი დანარჩენი.
და საშველი რაკი არ ჩანს,
მწამს, ვნახავთ და დავიჯერებთ.
დასაჭერი აღარ დარჩათ
და ერთმანეთს დაიჭერენ.

საუბარი ლართან

ლარს ვკითხე, რატომ გაუფასურდა.
მითხრა, რომ მავანს სხვა რამ არც სურდა,
რადგან მთავრობამ ბევრი მიქარა
და დაუბერა თანაც იმ ქარმა,
ბანკირს რომ ხიბლავს მომხვეჭელობით
და ძარცვა-ღლეტის უეჭველობით.

* * *

ამაზე მეტი რა გვითხრას ლარმა?
— ვინც ჩვენს ხალხს ძარცვავს,
შე-ერ-გოს არ-მად!

ჯერ სადა ვართ?!

სულ ახლახან საქართველოში 221-ე(!!!) პოლიტიკური პარტია დარეგისტრირდა. მოლოდინი გაცილემით დიდია!

220-ს ასცდა ძაბვა
ჭკუის კოლოფთა „სიბრძნის“
და მიგვაქანებს დაბლა,
ვინც სკამისათვის იბრძვის,
პარტიის ქსელით გვაბამს,
თუ ფეხმსუბუქურ სიძვით.

ალექსანდრე შენგელია.
ქუთაისი

დევნილ ოჯახებს ზუგდიდში ახალი საცხოვრებლები გადასცეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ზუგდიდში 47 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ბინა გადასცა.

დევნილ ოჯახებს ახალი ბინების გასაღებები დევნილთა და განსახლების მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, ზუგდიდის მერმა ირაკლი გოგოხიამ და ქალაქის მაჟორიტარმა მერაბ ქვარაიამ გადასცეს. დემურიას ქუჩაზე, ადმინისტრაციული დანიშნულების შენობაში, დევნილი ოჯახები წლების განმავლობაში უმძიმეს პირობებში ცხოვრობდნენ. შენობა კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და დევნილთა და განსახლების სამინისტრომ მესაკუთრეებისგან 300 000 ლარად გამოისყიდა. სამინისტროს გადაწყვეტილებით, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შპს „თი ემ“-მა, ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა.

რეკონსტრუქციის პერიოდში სამინისტრო აღნიშნულ ოჯახებს ქირის თანხით უზრუნველყოფდა.

„ტენდერის გზით მოხდა რეაბილიტაცია. მილიონ შვიდასი ათასი ლარი დაიხარჯა. ბინები გარემონტდა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით. ამ შენობაში 32 დევნილი ოჯახი ცხოვრობდა მძიმე საცხოვრებელ პირობებში და დღეს უკვე ისინი თანამედროვედ გარემონტებულ ბინებში იცხოვრებენ. გარდა ამ შენობაში მცხოვრები ოჯახებისა, 15 ბინა გავანაწილეთ კონკურსის წესით, ქულების სისტემით. მათ უკვე დღეიდან შეუძლიათ გადმოვიდნენ და იცხოვრონ ახალ სახლებში“, — განაცხადა მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ.

დემურიას ქუჩაზე არსებული 47 ბინიდან 14 ერთოთახიანია, 27 — ოროთახიანი და 6 — სამოთახიანი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლიდან დღემდე სამეგრელოს რეგიონში გარემონტებულ შენობებში საცხოვრებელი ფართი გადაეცა 343 დევნილ ოჯახს, ხოლო ახალაშენებულ კორპუსებში ბინის მფლობელი 600 დევნილი ოჯახი გახდა. „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, სამინისტრომ სამეგრელოს რეგიონში სახლი შეუსყიდა 400-ზე მეტ დევნილ ოჯახს.

თამარ ზანთარაია

ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა 297 სახელმწიფო უწყებაში დაინერგა

ელექტრონული მმართველობის (eGovernance) პოლიტიკის, კონცეფციების შემუშავება და განვითარება ქვეყნის პრიორიტეტული ამოცანაა. მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემების შექმნა და დანერგვა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს. სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი „ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა“ (eHRMS) უკვე დაინერგა 297 სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, სამინისტროებსა და მათში შემავალ უწყებებში (სსიპ, ააიპ, საქვეუწყებო დაწესებულება) დამოუკიდებელ სსიპ-ებში, სასამართლოებში, საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციებში, მუნიციპალიტეტების გამგეობებსა და საკრებულოებში, თვითმმართველ ქალაქებში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სხვადასხვა უწყებაში.

◎ რაგბი

ტესტ-მატჩებისთვის – ამერიკაში



წლეულს ზაფხულს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ტესტ-მატჩების გასამართავად ამერიკას ეწვევა. „ბორჯღალოსნები“ ოკეანის გაღმა ჯერ ჩრდილოეთს ეწვევიან და 10 ივნისს კანადის, ხოლო 17-ში აშშ-ის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებენ. ამის შემდეგ ჩვენი მორაგბეები სამხრეთ ამერიკაში გადაინაცვლებენ და არგენტინას დაუპირისპირდებიან.

„ბორჯღალოსნებმა“ ჩრდილოეთ ამერიკაში აქამდე ოთხჯერ ითამაშეს – 2009 წელს „ჩერჩილის თასზე“, 2012 წელს კი ტესტები გამართეს – ყველა შეხვედრა დათმეს (ორ-ორჯერ კანადასა და აშშ-სთან). 2010 და 2013 წლებში კანადა და შტატები საქართველოში გვესტუმრნენ: ოთხიდან სამი პაექრობა ჩვენი გამარჯვებით დასრულდა (ორჯერ კანადასთან და ერთხელ შტატებთან), რუსთავში კი აშშ-ს ნაკრებმა მიაღწია წარმატებას. ქართველები კანადელებს მეხუთედ 2015 წელს ინგლისში მსოფლიო თასის წინ მოსათელ მატჩში შეხვდნენ და დამარცხდნენ.

2007, 2011 და 2015 წლებში მსოფლიო თასის ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრები სამჯერ შეხვდა არგენტინას და ყველა ორთაბრძოლა წააგო, ხოლო მათს „ა“ ნაკრებთან სამიდან ორ მატჩში გაიმარჯვა. არის შანსი, რომ წლეულს ტესტ-მატჩების შემდეგ „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ ამერიკაში დარჩნენ და ორი ამხანაგური თამაშიც გამართონ,

ლაშა დიდია

◎ ემზადებიან

წესით, უნდა გავიდეთ

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევრო 2018-ის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადება დაიწყო. ავთანდილ ასათიანის გუნდი „ა“ ჯგუფში იასპარეზებს. ჩვენი ნაკრები მომდევნო ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად შვეიცარიის, ისრაელისა და შოტლანდიის ნაკრებებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდება:

ზვიად კუპატაძე, ჯაბა ჯამბურია, დავით ბობოხიძე, შოთა თოფურია, კახა მაისაია, არჩილ სებისკვერაძე, ლევან კობაიძე, შოთა ჭანუყვაძე, ზურაბ ლუკავა, მურთაზ კაკაბაძე, ირაკლი თოდუა, გიორგი ნიშნიანიძე, გიორგი ტიკურიშვილი, რონინიო და სილვა, ნიკოლოზ კურტანიძე.

ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბი: მთავარი მწვრთნელი – ავთანდილ ასათიანი, მთავარი მწვრთნელის ასისტენტები – არჩილ ბოკერია, ბესიკ არველაძე, ადმინისტრატორი – ამირან ცხომარია.

24 იანვარი
17:30 შვეიცარია-შოტლანდია,
20:00 საქართველო-ისრაელი.
25 იანვარი
17:30 ისრაელი-შვეიცარია,
20:00 საქართველო-შოტლანდია.
27 იანვარი
17:30 შოტლანდია-ისრაელი,
20:00 შვეიცარია-საქართველო.

მატჩები უნივერსიტეტის ქუჩაზე შარშან აგებულ ახალ ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილს სტარტი ფინიშად ექცა

საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობის ძირითადი ბადის პირველ წრეში მსოფლიო რეიტინგის 33-ე ნომერთან, გერმანელ ფილიპ კოლშრაიბერთან 4:6, 6:3, 6:7, 4:6 დამარცხდა.

მატჩში გარდამტეხი მესამე სეტი აღმოჩნდა, იქამდე კი ჩოგბურთელებმა თითო-თითო სეტი მოიგეს. მესამე პარტიაში ბასილაშვილი ორი ბრეიკით – 4:0 დაწინაურდა, თუმცა, სამწუხაროდ, ნიკოლოზმა სეტში ამხელა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საქმე ტაი-ბრეიკამდე გაირთულა, რომელიც გერმანელმა 7:2 მოიგო. მეოთხე სეტში კოლშრაიბერმა ერთი ბრეიკი შეასრულა და შეხვედრა გამარჯვებამდე მშვიდად მიიყვანა. მატჩი 2 საათსა და 34 წუთს გაგრძელდა. ნიკა ბადესთან არადამაჯერებლად თამაშობდა – 11-ჯერ გავიდა და მხოლოდ სამჯერ მოიპოვა ქულა.

ბასილაშვილმა ავსტრალიის ღია პირველობის ძირითად ბადეში შესვლით 50 000 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა.

კობა კოპაძიძე

◎ კალათბურთი

თეოდოშიჩი ევროპაში საუკეთესოა

ცსკა-ს სერბი გამთამაშებელი მილოშ თეოდოშიჩი ევროპის 2016 წლის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. La Gazzetta dello Sport-ის პრესტიჟულ გამოკითხვაში მეორე ადგილი ასევე ცსკა-ს ფრანგმა კალათბურთელმა ნანდო დე კოლომ დაიკავა, ხოლო მესამეზე „სან ანტონიოს“ ესპანელი ფორვარდი პო გასოლი გავიდა.

თეოდოშიჩმა 2016 წელს ევროლიგა მოიგო და რიოს ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

La Gazzetta dello Sport-ი ევროპის საუკეთესო კალათბურთელს ჟურნალისტების, ევროპული კლუბების მენეჯერების, მწვრთნელებისა და მოთამაშეების გამოკითხვის შედეგად ავლენს. პრიზი 1979 წელს დაწესდა და ის ყველაზე მეტჯერ, 6-6-ჯერ გერმანელ დირკ ნოვიცკის და ლიტველ არვიდას საბონისს აქვთ მოგებული.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ოსლოს ფინალის მასპინძლობა სურს

მოჭადრაკე ვაჟთა შორის მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის ფინალი 2018 წელს არის დანიშნული. პლანეტის მოქმედი ჩემპიონის მაგნუს კარლსენის (ნორვეგია) მეტოქის ვინაობა იმავე წლის მარტში გახდება ცნობილი. აღნიშნული შეხვედრის ჩატარების სურვილი ნორვეგიის დედაქალაქმა ოსლომ გამოთქვა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა კარლსენმა პირველად ტიტული 2013 წელს ჩენაიში (ჩინეთი) მოიპოვა, სადაც მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონ ვიშვანათან ანანდს (ინდოეთი) მოუგო. ერთი წლის შემდეგ მატჩ-რევანშში კარლსენმა ტიტული სოჭში (რუსეთი) დაიცვა, 2016 წელს კი სერგეი კარიაკინი (რუსეთი) ნიუ-იორკში (აშშ) დაამარცხა.

ბეჭან დოლიძე

◎ ხელბურთი

5 მერვედფინალისტი ოფიციალურად ცნობილია

ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა დანიამ მძიმე ბრძოლაში მოუგო შვედეთს – 27:25 და მერვედფინალში გასვლა გაინაღდა. 3-3 მოგება აქვთ და პლეი-ოფში უკვე გასულები არიან აგრეთვე საფრანგეთი, ხორვატეთი, ესპანეთი და სლოვენია. ჯგუფური ეტაპი 20 იანვარს სრულდება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

სუზანა ვერნერი ქმარს განურისხდა

მაშინ, როცა ბრაზილიელი მოდელი სუზანა ვერნერი თავისი სილამაზით, ეშხითა და სიკისკასით მრავალთა თვალს ატკბობდა, ჩვენს მკითხველთა უმრავლესობა შეიძლება მცირეწლოვანი იყო და არც სუზანა ახსოვდეს და არც ის, რომ ეს დაშხოშიანი ქალბატონი პირველად საზოგადოებამ რონალდოსთან ტრფობით გაიცნო.

ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა და აგერ, ათ წელზე მეტია, სუზანა დაღვინდა, დადგა და ამჟამად უკვე ვეტერან ბრაზილიელ მეკარე ჟულიო სეზართან თანამოსაყდრეობს და ამ თანაცხოვრების შედეგი სამ შვილში გამოიხატება.

თითქოს ამ ისტორიაში ყველაფერი მშვენივრადაა და „დისნეის“ ნახატი ფილმებივით ბოლოს ჩიტების ჟღურტული უნდა გაისმას, მაგრამ ბრაზილიური ბულვარული მედია იუწყება, რომ სუზანას ქმართან დიდი დაკადაკა მოსვლია და ეს ყველაფერი ხელდახელ ჩხუბშიც გადაიზარდაო. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ვერნერის ქალმა ქმარს საიდუმლო საყვარელი აღმოუჩინა. ასე რომ, წინ დიდი და შემზარავი ამბები შეიძლება გველოდეს.

როსტომ რაჭველიშვილი

ავლაბარში ტაქსის მძღოლი გაძარცვეს



ავლაბარში დანის მუქარით ტაქსის მძღოლი გაძარცვეს. გავრცელებული ინფორმაციით მძღოლს 50 ლარამდე თანხა წაართვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ქარვის თვლები უკანონოდ შემოიტანეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

ბრალდებულმა საბაჟო-გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ გავლით სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა, რა დროსაც, ტანსაცმელსა და ხელბარგში დეკლარირებას დაქვემდებარებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქარვის თვლები და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩნდა. საგამოძიებო სამსახურის მიერ საზღვარზე მალულად გადმოტანილი პროდუქცია ნივთმტკიცების სახით არის ამოღებული.

უკანონო ნადირობის ფაქტი ანაკლიაში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლებმა უკანონო ნადირობის ფაქტი გამოავლინეს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში, კოლხეთის ეროვნულ პარკში, სამ მოქალაქეს, რომლებიც გასაბერი ნავით გადაადგილდებოდნენ, გამართულ, დამუხტულ მდგომარეობაში ჰქონდათ სანადირო თოფები და მოპოვებული ჰქონდათ 9 ცალი გარეული იხვი.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს და დალუქეს 3 სანადირო თოფი, 12 ცალი დამუხტული ვაზნა და 9 ცალი იხვი. გარემოზე მიყენებული ზიანის თანხის ოდენობამ შეადგინა 270 ლარი.

შედგა შესაბამისი ოქმები.

ამოღებულია საბრძოლო იარაღი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ვ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას კალაშნიკოვის კონსტრუქციის არარეგისტრირებული ავტომატი და მჭიდი ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ბრალდებული ბექა შენგელია მიიჩნევს, რომ მოკლული ქალის დანაწევრება განსაკუთრებული სისასტიკე არაა!

დამამძიმებელ გარემოებებში 76 წლის ქალის განზრახ მკვლელობის საქმეზე ხუთი დაკავებულის წინასასამართლო სხდომა გუშინ დაიწყო. ბრალდებული ბექა შენგელია მიიჩნევს, რომ მოკლული ქალის დანაწევრება განსაკუთრებული სისასტიკე არაა.

„თავს ნაწილობრივ უდანაშაულოდ ვცნობ. მედავებიან ადამიანის სხეულის ორგანოების სხვაგვარად გამოყენებას, რაც არ ჩამიდენია. ის აღარ იყო ცოცხალი და მისი დანაწევრება მოხდა გვამის გადაადგილების მიზნით და არა რაიმე რიტუალური მიზნებისთვის, რაზეც არის საუბარი. ეს განსაკუთრებული სისასტიკე არაა. კი, სასტიკი ქმედებაა, როდესაც ადამიანს გაგუდავ, მაგრამ არა განსაკუთრებული“, — აღნიშნა ბრალდებულმა.

რაც შეეხება მოკლული ქალის შვილს, ირმა ყოჩიაშვილს, ის თავს წარდგენილ ბრალში დამნაშავედ სრულად ცნობს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დედის განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულსა და აღნიშნულ საქმეზე დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ნოემბერს შეუფარდა.



მეუღლე ნელი ახვლედიანი, შვილები კოტე, ნანა ოჯახებით იუწყებიან

ნოდარ ვარლამის ძე სოტკილავას

გარდაცვალებას.

მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 83, ბლოკი 3, ბინა 11.

გამოსვენება 19 I, 14 სთ.

უახლოესი მეგობრები ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, კლიმენტი ჯანჯღავა, ბონდო ჯიქია, ბაკურ გულუა, გივი აბდუშელიშვილი, თენგიზ უჩანეიშვილი, ვაჟა აბაკელია, გია მეფარიშვილი, ნუგზარ ნადარაია, გურამ გუნავა, რაულ ჯახია, ვალერი ჭანტურია, დემიკო ლოლაძე, ალეკო კაკულია, გივი სოსელია, ლერი ჭითანავა, შოთა კიკალეიშვილი, კლიმენტი კიკალეიშვილი, მურმან ნაჭყებია, კარლო ვეკუა, ვაჟა ფიფია, კარლო წულაია, მერაბ ზამბახიძე, სპარტაკ გოგინავა, მერაბ ბერაძე, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, ჯემალ კვირტია, მურად ანჯაფარიძე, კოტე შენგელია, ნუგზარ იზორია, კახა არდია თანაუგრძნობენ ბატონ ოთარ ჭითანავას ცოლისძმის

ნოდარ სოტკილავას

გარდაცვალების გამო.

გურამ გუნავა, ნანული მხეიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ღვაწლმოსილი მშენებელ-ინჟინერი, საქართველოს დიდი პატრიოტი, თაობათა აღმზრდელი და უბადლო მეგობარი

ნოდარ ვარლამის ძე სოტკილავა

და თანაუგრძნობენ ლუარა სოტკილავასა და ოთარ ჭითანავას დაუვიწყარი ძმისა და ცოლისძმის გარდაცვალების გამო.

შვილები ნინო, ია ყანჩელები, სიძეები ზაზა ბერძენიშვილი, პაატა წივწივაძე, შვილიშვილები ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი, ნინო თოხაძეები, გიორგი წივწივაძე, შვილთაშვილი ანდრია ბერძენიშვილი, რძლები სალომე ხუნდაძე, ნათია მინდიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ივეტა ალექსანდრეს ასული ყანჩელი

პანაშვიდი 17, 18 I, გამოსვენება 19 I, 14 სთ-ზე ხვიჩიას №23-დან (ყოფილი წითელი პარტიზნების ქუჩა).

ანზორ ახვლედიანი, ზურაბ ამაშუკელი, ჯემალ გოგიჩაძე, მიხეილ ესაკია, ირაკლი მეგრელაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, თამაზ ჩხიკვაძე, ლუარსაბ ჭელიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი უახლოესი მეგობრის, აწ გარდაცვლილი თენგიზ ყანჩელის მეუღლე

ივეტა ყანჩელი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ჯემალ ღონღაძე

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარა ხარ. კიდევ ერთით შემცირდა ჩვენი საძმო. დააკლდი სამეგობროს, სამეზობლოს, სანათესავოს, დისშვილ-ძმისშვილებს, რომლებიც შენი გაზრდილები არიან. დააკლდი დაბადებიდან დაობლებულ ქალიშვილს და სწორედ მის დაბადების დღეს 77 წლის ასაკში გიმტყუნა გულმა. დაკლდი შვილიშვილებს, სიძეს, დედმამიშვილს და ალბათ ყველაზე მეტად, თქვენს ასაკში მეუღლეს, რომელიც ყველა ჭირში და ლხინში შენს გვერდით იდგა და ზრუნავდა შენზე.

წახვედი და დაგვრჩა დიდი ტკივილი და მონატრება — ზოგისთვის პირველი კლასის მერხის, ზოგისთვის უბნის და ზოგისთვის სამსახურებრივ ურთიერთობებში დამეგობრებულების. იყავი დიდუბის კოლორიტი, პლეხანოვზე გაზრდილი, სპორტსმენი, საკუთარი ნიჭითა და შრომით გაიკვალე გზა ცხოვრებაში. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა როსტოვის ეკონომიკის ინსტიტუტში გააგრძელე, შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რიგითი ეკონომისტიდან მიაღწიე ერთ-ერთი ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თანამდებობამდე. შენი ფათერაკებით და კომიკური სიტუაციებით აღსავსე ცხოვრება დღესაც მოგონებად არის შენს მეგობრებში.

შენი ხსოვნა მარად იქნება ჩვენს გულებში, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი საყვარელი თბილისის მიწა.

ვაჟა ნადირაშვილი, მურმან რუხაძე,
ლერი კობალავა, ვარლამ აბულაშვილი,
გულიკო ჯერენაშვილი-მამასახლისი,
დალი კიკნაძე, ნელი თეძაძე, ნუნუ საათაშვილი.

გახსენება

ლია ბელელაძე

ლია ბელელაძის გარდაცვალებიდან ერთი წელი გასრულდა. წუთისოფელს განეშორა კეთილშობილი ადამიანი, დარბაისელი მანდილოსანი, სწავლული, პედაგოგი...

დღემდე ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები და კოლეგები „სულატკივებულნი“ ცხოვრობენ: შინ ელიან, მაგრამ არ ბრუნდება; ნათესავები მისი ნახვის მონატრულნი არიან, მაგრამ ვერსად იხილეს; მეგობრებს მასთან ბაასი სურთ, მაგრამ ვერ შეხვდნენ; კოლეგებს აზრი აქვთ გასაზიარებელი, მაგრამ ხმა ვერ მიაწვდინეს.

ამაოდ დაეძებენ მისი თანადგომის მოიმედე შეჭირვებული ადამიანებიც. ვაგლახ, რომ მათ აღარ დაუდგებათ „გულის დრო“.

ლია ბელელაძის სიცოცხლე შეიძლება შეედაროს სანთლის დაღვენთას; „სხვათათვის რომ ნათობს და თავისთვის იწვის“; მისი ცხოვრება კი აღსავსე იყო „გულის სიუხვით“ და ღვაწლქმნით.

აღესრულა და მიეახლა დატირებულ მეუღლეს რევაზ (რეზო) ღლონტს — ზნეკეთილ ადამიანს, თვალტანადობით და „სულიერი ახოვანებით“ გამორჩეულ პიროვნებას. „სათნოების ჰიმალაი“ ლია ბელელაძე და „კაი ყმა“ რევაზ (რეზო) ღლონტი, დედაშვილობისა და მამაშვილობის შარავანდით ფენილი, თვალსატკბობი ცოლ-ქმარი იყვნენ.

შემზარავია მათი აღარყოფნა. მოციმციმე „ზენაარის ცრემლმოყოლილი წმინდა სანთლებით“ წარმოვსახავთ ჩვენს სევდას, მონატრებას, მადლიერებას და „გაბრძოლებას დავიწყების წინააღმდეგ“.

სასაფლაოს მყუდროებაში „მგლოვიარედ არხევენ ზარებს“.

განისვენეთ.

როდერიგო ფოცხიშვილი

ყველას რაღაც აქვს სახსოვარი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. გადაღებულია 1958 წელს.

მარცხნიდან ზედა რიგში ზურაბ ვეზირიშვილი — ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი;

მეორე რიგში — მარცხნიდან მარჯვნივ გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები ზაურ რეხვიაშვილი, ოთარ ჩანკაშვილი, სოსო ყანჩაველი, გურამ სახელაშვილი და სხვები.

მოგვაწოდა ზურაბ ვეზირიშვილმა.

რვა ადამიანი, რომლებსაც იმაზე მეტი ფული აქვთ, ვიდრე ნახევარ მსოფლიოს

მსოფლიოს ყველაზე მდიდარ რვა ადამიანს იმდენივე ფული აქვს, რამდენიც დედამიწაზე მცხოვრებ 3,6 მლრდ ადამიანს. ამ მდიდარი ადამიანების სიაში შედიან: ბილ გეითსი, უორენ ბაფეტი, კარლოს სლიმი, ჯეფ ბეზოსი, მარკ ცუკემბერგი, ამანსიო ორტეგა, ლარი ელისონი და მაიკლ ბლუმბერგი.მათი ერთობლივი ქონება 426 მლრდ $ აღწევს. როგორც ორგანიზაცია „Oxfam International"-ში აღნიშნავენ, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა, თანასწორობისა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის სხვაობა სულ-უფრო და უფრო იზრდება.

◎ანეკდოტები

კომერციული ფირმის დირექტორი ერთ-ერთ თანამშრომელს ულოცავს:

— თქვენ ბედნიერი მამა ბრძანდებით, კიდევ ერთი მემკვიდრე შეგეძინათ!

— ბატონო დირექტორო! ჩემი ხელფასის მქონე კაცს წარმოუდგენელია მემკვიდრეები ჰყავდეს. აი, შვილები კი, მართლაც ბევრი მყავს!

* * *

პრემიერის შემდეგ მაყურებლებმა მთავარ გმირს უამრავი თაიგული მიართვეს, ყვავილებს სცენაზე დარბაზიდანაც ესროდნენ, თუმცა კი, ერთმა შურიანმა კოლეგამ ცოცხი გადაუგდო. როცა ოვაციები დაცხრა, მსახიობმა ამ მაყურებელს მიმართა:

— მე თქვენი განსაკუთრებული მადლობელი ვარ, მაგრამ მაინც მინდა, გთხოვოთ, რომ სხვა დროს ჩემთვის საკუთარ საკვებს ნუღარ გაიმეტებთ!

* * *

— **ბიჭო**, ზალიკო, სადაა შენი დაიკო? მუსიკის გაკვეთილი განა ერთად არ გქონდათ?

— ის სამუსიკო სკოლაში დარჩა, საფორტეპიანო დუეტის დაკვრას ამთავრებს.

— კი მაგრამ, მაგ დუეტს განა თქვენ ორნი არ უკრავთ?

— ჰო, ეგრეა, მაგრამ მე ბიჭები მელოდებიან და ამიტომ დღეს ცოტა ადრე მოვრჩი.

* * *

დედა ეუბნება გასათხოვარ ქალიშვილს:

— შვილო, ეგ შენი კავალერი ბონდო ისეთი ბაქია, თვითდაჯერებული და ტუტუცი ახალგაზრდაა, იმდენად არ მომდის თვალში, რომ სიამოვნებით გავხდები მისი სიდედრი!..

◎ რას არ გაიგებ

თეატრალურ ლოჟას ალბერტ-ჰოლში 10 სახლის ფასი აქვს

ლონდონის ცნობილ თეატრ ალბერტ-ჰოლში, ბელეტაჟის ლოჟა 2,5 მილიონ ფუნტად იყიდება. ამ თანხით ლონდონში 10- საშუალო ზომის სახლს იყიდი, აცხადებს ბიბისი.

იგი 12- კაცზეა გათვლილი და დედოფლის ლოჟის გასწვრივ მდებარეობს, საიდანაც საუკეთესო ხედი იშლება როგორც სცენაზე, ასევე დარბაზზე. მსგავსი ექსკლუზიური ობიექტის შეძენის შანსი იშვიათია, რადგან ისინი თაობიდან თაობებს მემკვიდრეობით გადაეცემათ.

ლოჟის შეძენა უმსხვილეს სააგენტოებს სურთ. რათა მომავალში დედოფლის გვერდით მდებარე ადგილები სარფიანად გაყიდონ.

ალბერტ-ჰოლი XIX საუკუნის მეორე ნახევარში დედოფალმა ვიქტორიამ, გარდაცვლილი მეუღლის, პრინცი ალბერტის პატივსაცემად ააგო. თეატრი ყოველწლიურად 350-ზე მეტ ღონისძიებას მასპინძლობს და ლონდონის ღირსშესანიშნაობებს შორის საპატიო ადგილი უკავია.

ვარსკვლავები ტრამპის ინაუგურაციაზე არ იმღერებენ

ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალი, მსოფლიო დონის, მასშტაბური ღონისძიებაა, რომელშიც მონაწილეობა ყველა ვარსკვლავისთვის ძალიან პრესტიჟულია. თუმცა 20 იანვარს გასამართ ცერომინიალში მონაწილეობაზე რამდენიმე მსოფლიო დონის ვარსკვლავმა უარი განაცხადა.

მათ შორისაა ელტონ ჯონი. მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი ტრამპის ერთ-ერთი ფავორიტთაგანია, იგი ინაუგურაციაზე არ გამოვა — განაცხადეს ჯონის წარმომადგენლებმა.

მონაწილეობაზე ასევე უარი თქვა, კანადელმა ვარსკვლავმა სელინ დიონმა.

ელექტრონული მუსიკის ცნობილმა შემსრულებელმა „მობიმ" (MOBY) კი თავის ინსტაგრამ გვერდზე ორგანიზატორებს დამცინავად უპასუხა: მონაწილეობას მივიღებ???!!! ამას სერიოზულად მეკითხებით??

კლასიკური მუსიკის მოტრფიალე პრეზიდენტს არ უმღერებს მსოფლიო დონის შემსრულებელი ანდრეა ბოჩელი.

ბრიტანელმა მომღერალმა შარლოტა ჩერჩმა კი თავის ინტერნეტ გვერდზე დაწერა, რომ ტრამპს ჯერ კიდევ ტირანად თვლიდა და ინაუგურაციაზე გამოსვლას არც ფიქრობდა.

სიაში კიდევ რამდენიმე ცნობილი ვარსკვლავია: რებეკა ფერგიუსონი, ჰარტ ბრექსი და „kiss", რომლებსაც ასევე არ სურთ ცერემონიალში მონაწილეობა.

ნორვეგიამ დიზელზე მომუშავე ავტომობილები აკრძალა



ნორვეგიის დედაქალაქის მმართველობამ დიზელზე მომუშავე ავტომობილები აკრძალა. ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ოსლოში დილის 6 საათიდან საღამოს 22 საათამდე მსგავსი ტიპის მანქანის მეპატრონეებს ფეხით სიარული ან ალტერნატიული ტრანსპორტის მოძიება მოუწევთ.

დაბინძურებული ჰაერი განსაკუთრებულ ზიანს ბავშვებსა და მოხუცებს აყენებს, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ქალაქის მმართველობამ ასეთი რადიკალური ზომების მიღება.

აკრძალვა არ ვრცელდება ჰიბრიდის ტიპის დიზელზე მომუშავე მანქანებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და სპეცდანიშნულების ავტომობილებზე. რამდენ ხანს გაგრძელდება აკრძალვა, ჯერჯერობით უცნობია. ჯარიმა კი 1500 ნორვეგიულ კრონს შეადგენს.

ქვეყნისთვის სუფთა გარემო და ეკოლოგია, მართლაც რომ პირველ ადგილზეა.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7084; ევრო - 2.8695;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2665;
100 რუბლი - 4.5444; თურქული ლირა - 0.7189;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4756;
1000 სომხური დრამი - 5.5728.

ამინდი 18 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -6	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე -11	დღე +6
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -5	დღე +12
თბილისი:	ღამე -2	დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE